შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

საქართველოში არსებული კონფლიქტები, გენოციდის და ეთნიკური წმენდის პრობლემები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: მარიკა გვიანიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:
პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი
2020

შინაარსი

ანოტაცია----------**3**

Annotation----------**4**

შესავალი----------5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------7

თავი II. გენოციდის და ეთნიკური წმენდის არსი და მნიშვნელობა----------9

2.1. გენოციდი როგორც ცნების არსი და მნიშვნელობა ----------9

2.2. ეთნიკური წმენდის არსი და მნიშვნელობა----------12

2.3. საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს შორის----------14

თავი III. აფხაზეთში არსებული კონფლიქტები----------17

3.1. აფხაზეთის ისტორია----------17

3.2. აფხაზეთში განხორციელებული კონფლიქტები, გენოციდი და ეთნიკური წმენდა----------23

3.3. აფხაზეთში განხორციელებული კონფლიქტების შედეგები და მათი მოგვარების გზები--------32

თავი IV სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტები----------35

4.1. სამხრეთ ოსეთის ისტორია----------35

4.2. სამხრეთ ოსეთში გავრცელებული კონფლიქტები და მათი შედეგები----------36

თავიV 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი----------42

5.1 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი შედეგები----------42

თავი VI კვლევის შედეგები----------47

დასკვნა----------53

გამოყენებული ლიტერატურა ----------57

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოში არსებულ კონფლიქტებს, გენოციდისა და ეთნიკური წმენდი პრობლემებს, რომელიც განხილულია როგორც ეროვნული კანონმდებლობის ისე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ამასთან ნაშრომში საუბარია იმ პრობლემებზე, რაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ გენოციდს და ეთნიკურ წმენდას.

ნაშრომში განმარტებულია გენოციდი და ეთნიკური წმენდა, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული მნიშვნელობით, ასევე ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ამასთან ნაშრომში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ იმ ქმედებებზე, სადაც ადგილი ჰქონდა გენოციდს და ეთნიკურ წმენდას, კერძოდ აფხაზეთში არსებულ კონფლიქტებზე, ოსეთში განხორციელებულ კონფლიქტებზე, 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომზე. ამასთან ნაშრომში საუბარია იმ სამართლებრივ თუ მატერიალურ ზარალზე, რაც აღნიშნული ქმედებებით მიადგა საქართველოს სახელმწიფოს.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო და შიდა, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, როგორც საქართველოში განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ, ასევე შედარების მიზნით სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები. ასევე ნაშრომში მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები, რითაც გადმოცემულია საქართველოში არსებული კონფლიქტების შედეგები.

ნაშრომი შედგება სარჩევის, ანოტაციის, შესავალის, ძირითადი თემის (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისაგან.

Annotation

The present paper deals with the conflicts in Georgia, genocide and ethnic cleansing, which are discussed in the framework of both national legislation and international law. In addition, the paper discusses the problems that resulted from the genocide and ethnic cleansing on the territory of Georgia.

The paper explains genocide and ethnic cleansing in both the internationally recognized sense and in accordance with national law. In addition, the paper discusses the actions taken on the territory of Georgia, where genocide and ethnic cleansing took place, in particular the conflicts in Abkhazia, the conflicts in Ossetia, and the 2008 Russian-Georgian war. In addition, the paper discusses the legal or material damage caused to the Georgian state by these actions.

The paper discusses the decisions of international and domestic courts of national jurisdiction over genocide and ethnic cleansing in Georgia, as well as other similar decisions for comparison. The paper also presents statistical data, which show the consequences of the conflicts in Georgia.

The paper consists of a table of contents, an annotation, an introduction, a main topic (divided into chapters and subsections), a conclusion, and a list of used literature.

შესავალი

საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული კონფლიქტები, რამაც გამოიწვია ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ერთობ ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ან/და საქართველოში მცხოვრები ადამიანებისა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ აღნიშნულმა კონფლიქტებმა გამოიწვიეს მნიშვნელოვანი, როგორც სამართლებრივი ასევე მატერიაური ზიანი, რაც დღემდე ასახულია საქართველოს ტერიტორიაზე, მის განვითარებაზე, მოსახლეობის მატერიალურ დონეზე, მათ განვითარებაზე, ურთიერთობებზე და სხვა ბევრ ფაქტორზე.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კონფლიქტების დროს ჩადენილია არა ერთი დანაშაული, რომელთა შორისაც ყველაზე ხშირი და მძიმე შედეგების მომტანი იყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა. გენოციდი და ეთნიკური წმენდა - ეს ორი ტერმინი გამოხატული ქმედებაში არის ისეთი დანაშაული, რომლის განხორციელების შემთხვევაში არ იწყება უბრალოდ გამოძიება რომელიც კონკრეტულ დროში დასრულდება ბრალდებულის/ბრალდებულების დადგენით ან უშედეგოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. მათი ჩადენის შემთხვევაში იგი ცდება სახელმწიფოს ფარგლებს, ყურადღების ცენტრში ექცევა მსოფლიოს მოსახლეობის და ის მუდამ რჩება ისტორიას.

გენოციდი განმარტებულია და დანაშაულად მიიჩნევა "გენოციდის დანაშაულის პრევენციისა(თავიდან აცილების) და დასჯის შესახებ" კონვენციაში, რის საფუძველზეც იგი აისახა ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლში. "ეთნიკური წმენდა" როგორც დამოუკიდებელი დანაშაული არ არსებობს არც საერთაშორისო კანონმდებლობაში და არც შიდა ეროვნულ კანონმდებლობაში. თუმცა მისი განხორციელების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება „ადამიანურობის წინაარმდეგ მიმართული დანაშაულის მუხლით, რომელიც ასახულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7 მუხლში და მის საფუძველზე კი მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლში.

საქართველოში არსებული კონფლიქტებიდან ნაშრომში საუბარია აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომზე, სადაც განხორციელდა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები და მათ შორის გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი როგორც სამართლებრივი ისე მატერიალური ზიანი.

თემის აქტვალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული კონფლიქტების მნიშვნელოვანი პრობლემაა როგორც საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობისთვის, ასევე საზოგადოებისთვის, საერთაშორისო ურთიერთობებისთვის და ზოგადად კონფლიქტების მოგვარება ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის განვითარების საკითხში.

თემის მიზანია ნათლად იქნეს წარმოჩენილი საქართველოში არსებული კონფლიქტების შედეგები, ზიანი, სამართლებრივი ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები, რომელიც ქვეყნის განვითარების უმთავრესი მიზანია.

თემის ამოცანას წარმოადგენს, ღრმად გავეცნოდ იმ მიზეზებს, რის გამოც წარმოიშვა საქართველოში კონფლიქტები და საბოლოოდ, რამ გამოიწყვი დღეს არსებული როგორც სამართლებრივი, ასევე მატერიალური და საზოგადოებრივი განვითარების შეფერხება და საბოლოოდ რა გზებით არის შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის გადაჭრა.

თემაში გამოყენებულია ნაშრომის კვლევის სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის ისტორიული კვლევის მეთოდი, რომელიც დამეხმარა ნათლად დაგვენახა ისტორიული წარსული რითაც მივიღეთ დღეს არსებული შედეგები, ამასთან თემაში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდები რის საფუძველზეც უკეთ განვსაზღვრეთ საქართველოს ნორმატიულ აქტებში და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის სხვაობა რის საფუძველზეც მარტივია ხარვეზის აღმოჩენა, ნაშრომში ასევე გამოყენებულია სისტემური ანალიზის მეთოდი რითაც მარტივადაა შესაძლებელი სხვადასხვა მოვლენების გაერთიანება ერთ დიდი საკითხთან.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ლიტერატურა, რომლის დახმარებითაც ნაშრომი გახდა უფრო საინტერესეო და საკვლევი თემაში სხვადასხვა წყაროს დახმარებით ყველა მნიშვნელოვან საკითხზე არის ყურადღება გამახვილებული. ნაშრომის სახელწოდებაა საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული კონფლიქტები, გენოციდი და ეთნიკური წმენდის პრობლემა, შესაბამისად ნაშრომში მრავლადაა გამოყენებული ისტორიული ლიტერატურა, კერძოდ: აპოლონიოს როდოსელი, "არგონავტიკა", "აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია", ქართლის ცხოვრება, „მატიანე ქართლისაჲ",ტომი 1, ბეჟანი სურგულაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, გ.თევდორაშვილი, ნ.გორდელაძე, ნ.დეკანოსიძე, ნ.დუმბაძე და სხვები, "ჩვენი ეპოქა 2020 წელი.

ამასთან ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც კერძოდ: გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია,

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამათლოს რომის წესდება, საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ, საქართველოს კონსტიტუცია, 1921 წ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუციია,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის დეკლარაცია, საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და ამასთან ნაშრომში წყაროდ გამოყენებლია რამდენიმე შეთანხმება, რაც საქართველოში არსებული კონფლიქტების დროს შეიქმნა. ამასთან მნიშვნელოვანი როლი აქვს ნაშრომში სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებს, რომელიც დაგვეხმარა ზუსტად შეგვეფასებინა და მოგვეხდინა კვალიფიკაცია ქმედებების.

ნაშრომზე მუშაობისას ასევე გამოყენებული იქნა მრავალი სტატია და ჟურნალი, სადაც ვრცლად იყო გადმოცემული კონკრეტულ დროს მომხდარი ფაქტი, როგორც ექსკლუზიური ამბავი. ასევე მნიშვნელოვანი ჟურნალი, რომელიც გამოყენებულ იქნა ნაშრომში არის დავით წულაიას გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი.

ქართული ლიტერატურისაგან განსხვავებით ნაშრომში გამოყენებულია უცხოური ლიტერატურა, რომელიც ნაშრომს სხვა კუთხით წარმოაჩენს ვინაიდან მასში საკმაოდ განსხვავებული მოსაძრებებია საქარველოს კონფლიქტების მიმართ. ასეთია: The Dark side of Democracy Explaining Ethnic Cleansing,MICHAEL MANN University of California Los angeles, Cambridge university press, სადაც საუბარია გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე. Philippe Sands, "East West Street", ეს წიგნი ეხება რაფაელ ლემკინს, რომელმაც პირველად გამოიყენა სიტყვა გენოციდი და შესძინა მას მნიშვნელობა ასევე წიგნში ასახულია მის შეხედულებები.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია სხვა ლიტერატურული წყაროები როგორიცაა - საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატის მიერ შექმნილი აფხაზეთის მოკლე ისტორია და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია, ენციკლობედიები, მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომელი და კვლევები. ასევე უნდა აღინიშნოს რომ ნაშრომის შექმნისას ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, რის გამოს ბიბლიოთეკები არ ფუნქციონირებდა, ამიტომ ლიტერატურის მოძიებაში მნიშვნელოვანი წვლილი ინტერნეტ რესურსებმა შეასრულა.

თავი II
გენოციდის და ეთნიკური წმენდის არსი და მნიშვნელობა
2.1 გენოციდის როგორც ცნების არსი და მნიშვნელობა

გენოციდი არის დანაშაული, რომელიც მისი სიმძიმით სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე განხორციელებული გენოციდი ექცევა საერთაშორისო ყურადღების და საერთაშორისო კანონმდებლობის ქვეშ. გენოციდი დასჯადი ქმედებაა მიუხედავად იმისა ეროვნული კანონმდებლობით ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა გთვალისწინებული არის თუ არა.

ტერმინი "გენოციდი" პირველად მე-20 საუკუნეში გამოჩნდა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ეტიმოლოგიურად "გენოციდი" შედგება ბერძნული (`γένος génos~ რასა, გავრი, ტომი) და ლათინური (`cide, cidium, caedere~ ვკლავ, ვხოცავ) სიტყვებისგან. ხოლო მისი ზოგადი განმარტება აღნიშნავს ერის, ეთნოსის, რასის, რელიგიური ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ განადგურებას.[1] ტერმინი გენოციდის ავტორად ითვლება რაფაელ ლემკინი, რომელმაც აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენა 1944 წელს მის მიერვე გამოცემულ წიგნში - "ნაცისტთა დანაშაულები ოკუპირებულ ევროპაში". ტერმინი გენოციდის შემოღებას წინ უძღოდა 1933 წელს ქ. მადრიდში რ. ლემკინის მიერ "სისხლის სამართლის უნიფიკაციისათვის" (ICUCL) საერთაშორისო კონფერენციაზე "ბარბაროსობისა" და "ვანდალიზმის" კონცეფციების შეთავაზება. რამაც კრახი განიცადა, რის შედეგაცად მას გაუჩნდა იდეა ჩაენაცვლებინა "ბარბაროსობისა" და "ვანდალიზმის" კონცეფციები პლატონის მიერ გამოყენებული ბერძნული სიტყვით - génos (რასა, გავრი, ტომი). ამ იდემა კი ლემკინს ბუნებრივად უკარნახა ზემოთ ხსენებული ბერძნული სიტყვისთვის დაემატებინა ლათინური სიტყვა - cidium, რაც ნიშნავს კვლას. სწორედ ასე რ. ლემკინის დამსახურებით წარმოიშვა მეოცე საუკუნეში სიტყვა "გენოციდი", რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა 1946 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული 96(1) რეზოლუციით. [2]

აბსოლიტურად ვეთანხმები სოციოლოგ ლეო კუპერს, რომელიც აღნიშნავს, რომ ტერმინი "გენოციდი" ახალია თუმცა მისი კონცეფცია ძველი.[3] ვინაიდან კაცობრიობის ისტორიაში არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც თავისი არსით, დანაშაულის შემადგენლობით და კვალიფიკაციით არის გენოციდი თუმცა იმ დროს ამგვარი კვალიფიკაცია და ამასთან სიტყვა

[1] დ. წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ, გვ 192
[2] დ. წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ, გვ 193
[3] დ. წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ, გვ 194

გენოციდი არ არსებობდა რის გამოც აღნიშნული ტერმინი არ გვხდება, თუმცა დღეს უპირობოდ ამ ფაქტს "გენოციდი" ეწოდებოდა. გენოციდის პირველ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ უძველეს ტომებს შორის ბრძოლები, რომელიც ჯგუფის სრულ გადაგურებაზე იყო მიმართული. ურარტუს გალაშქრება კოლხას წინააღმდეგ სადაც აიღეს სამეფო ქალაქი ილდამუსა და გაჟლიტეს იქ მყოფი მეფისნაცვლები. პირველი გენოციდი ასე უწოდა ბ.კეირნანმა კართაგენის განადგურება ძვ.წ 149-146 წლებში.[4] ყველაზე მეტად ეს დამახასიათებელია გამანადგურებელი ომებისა და თავდასხმებისათვის, დამპყრობლებისათვის, ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებისათვის, ქვეყნის გაყოფის პერიოდში, გაყოფილი მსოფლიოს შეცვლილი პროცესისათვის უმკაცრეს ბრძოლებში, რომელიც ორ მსოფლიო ომამდე მივიდა.[5] დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა სწორედ ასეთ დანაშაულებს უწოდა, "დანაშაული სახელის გარეშე." [6]

გენოციდი, როგორც ტერმინი საერთაშორისო მაშტაბით, როგორც უკვე ავღნიშნეთ რაფაელ ლემკინის დამსახურებით გაჩნდა, ამასთან მისივე დამსახურებით და მონაწილეობით გაეროს გენერალურმა ასაბლეამ 1946 წელს მიიღო "გენოციდის შესახებ რეზოლუცია 96 (1). ამით აღიარებული იქნა, რომ გენოციდი, როგორც დანაშაული საერთაშორისო ინტერესის სფეროდ გადაიქცა.[7] აღნიშნული რეზოლუციიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო შესაბამისი კონვენციის შემუშავება, რომელიც 3 ეტაპად განხორციელდა. საბოლოოდ კონვენცია მიღებულ იქნა 1948 წლის 9 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 260-ე (III) რეზოლუციით, რომელიც ძალაში შევიდა 1951 წლის 12 იანვარი, XIII მუხლის შესაბამისად.[8] აღნიშნული კონვენციის სახელწოდებაა "კონვენცია გენოციდის დანაშაულის პრევენციისა(თავიდან აცილების) და დასჯის შესახებ" და მის მეორე მუხლში მოცემულია გენოციდის როგორც დანაშაულის დისპოზიცია :

"გენოციდი ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით:

(ა) ჯგუფის წევრთა მკვლელობა;

(ბ) ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება;

(გ) ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას;

---

[4] დ.წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ, გვ 195

[5] რ. გაჩეჩილაძე, ჩემი მეოცე საუკუნე, I ტომი 1901-1953, მეორე გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2011წ.

[6] ჯეიმს ტ. ფუსელი, გენოციდის საერთაშორისო პრევენცია, 2014 წ.

[7] დ.წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ, გვ 198

[8] https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-1&chapter=4

(დ) ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთა;

(ე) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემა”[9]

თავდაპირველი გეგმის მიხედვით ამ მუხლს უნდა ემუშავა ათი წლის განმავლობაში, თუმცა სახელმწიფოების გენოციდის აღმოფხვრის სურვილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ის ჯერაც ძალაშია.[10]

ნიურბერგის პროცესი[11] გამორჩეული იყო იმით, რომ ნაცისტური პოლიტიკური ელიტა არ დასჯილა გერმანიის კანომდებლობით. ისინი გაასამართლეს და დასაჯეს როგორც საერთაშორისო დამნაშავეები, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. სწორედ ნიურბერგის პროცესი იყო დასაწყისი საერთაშორისო სამართლისა, როდესაც პირველად დაისაჯნენ დამნაშავეები საერთაშორისო სამართლით.[12]

1993 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა კონვენციის რატიფიცირებ, რის საფუძველზეც კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე “ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას თავიანთი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღონ აუცილებელი კანონმდებლობა წინამდებარე კონვენციის დებულებების ასამოქმედებლად და, კერძოდ, ეფექტური ზომების მიღების მიზნით, იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდის დანაშაული” ეროვნულ კანონმდებლობაშიც აისახა გენოციდი, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, და ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლში განმარტებულია როგორც: “გენოციდი, ესე იგი ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობის განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში”.[13] ეროვნულ კანონმდებლობაში გენოციდის განმარტება არის უფრო ვრცელი და მოცულობით, კერძოდ იგი ჩამოთვლილ ნიშნებს (ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი,

---

[9] გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია,1949 წ.;

[10] სმიტი რონა კ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, რედ. გიორგი ჯოხაძე თარგმნ. მანანა კობიაშვილი, „სეზანი“ 2009 წ,

[11] II მსოფლიო ომში გერმანელი ომის მთავარი დამნაშავეების გასამართლება საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ ქალაქ ნიურნბერგში.

[12] გ.ჭანტურია, ბ. ნადარაია, ნიურბერგის პროცესი და საერთაშორისო სამართალი, საქართველოს სამეფოს ისტორის,(20. 11. 2018), http://georoyal.ge/

[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ, 04.06.2020 წლის რედაქციით, მუხლი 407

რელიგიური) უმატებს - "ანდა რაიმე სხვა ნიშნით" რაც განასხვავებს მას კონვენციისაგან და უფრო ვრცელია ვიდრე კონვენციაში.

2.2 ეთნიკური წმენდის არსი და მნიშვნელობა

ტერმინი ეთნიკური წმენდა გაჩნდა 1990-იან წლებში ყოფილ იუგოსლავიაში არსებული კონფლიქტის საფუძველზე, რომლის შედეგადაც ეს ტერმინი შედიოდა გაეროს ექსპერტთა კომისიის სხვადასხვა მოხსენებებში, რომელსაც ევალებოდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების შესწავლა. მიუხედავად ამისა მისი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებისა და ორგანიზაციების ოფიციალური განსაზღვრება ჯერ არ არსებობს. ამასთან ეთნიკური წმენდა არ არის აღიარებული როგორც დამოუკიდებელი დანაშაული და არ რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით,[14] შესაბამისად არც ეროვნული კანონმდებლობით.

ტერმინი წარმოდგება სერბულ.-ხორვატული (etničko čišćenje/етничко чишћење) ხალხიდან, რომელიც პირველად იუგოსლავიის ომების მიმდინარეობისას გამოიყენეს. ამ ფრაზას ისინი დაახლოებით იგივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რასაც ნაცისტები ფრაზას – საბოლოო გადაწყვეტა. მოგვიანებით ამ ტერმინმა შეაღწია აკადემიურ წრეებში დღევანდელი მნიშვნელობით. დღევანდელი განმარტებით ეთნიკური წმენდა ნიშნავს - "ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონიდან განდევნოს სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით (მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუპატიურება და სხვა სექსუალური ძალადობა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალმომრეობით განდევნა, გადაადგილება და დეპორტაცია, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ ამ თავდასხმებით მუქარა, და ა.შ.)"[15]. ეთნიკურ წმენდას, როგორც წესი, თან ახლავს სამიზნე ჯგუფის კულტურული

---

[14]უ. შაბასი, გენოციდი საერთაშორისო სამართალში, დანაშაულის დანაშაული. კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2000 წ.

[15] სარედაქციო ჯგუფი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, რედ. მარინა ჩიტაშვილი , „ლოგოს პრესი", თბ., 2004, გვ 72

მემკვიდრეობისა და მათი იქ ყოფნის დამადასტურებელი ნიშნების მოსპობაც – მათი სასაფლაოების, სამლოცველოებისა და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის განადგურება, ხოლო მათ საცხოვრებელ ადგილას სხვა რეგიონებიდან გადმოსახლებული ადამიანების დასახლება.

ეთნიკური წმენდის პირველი მაგალითი იყო იუდეველთა ომისა და ბარ კოხბას აჯანყების შემდეგ იუდეველთა განდევნა პალესტინიდან რომის იმპერიის მიერ. იუდეველები აიძულეს პალესტინა დაეტოვებინათ და სხვაგან ეძიათ თავშესაფარი.[16] განვმეორდები და ვიტყვი რომ "ეთნიკური წმენდა" როგორც დამოუკიდებელი დანაშაული არ არსებობს არც საერთაშორისო კანონმდებლობაში და არც შიდა ეროვნულ კანონმდებლობაში. თუმცა აქვე ჩნდება კითხვა თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს აღნიშნული ქმდება? ასეთ დროს ხდება მისი კვალიფიკაცია როგორც "დანაშაული ადამიანურობის წინაარმდეგ" ან ექცევა ომის დანაშაულის ქვეშ. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ საერთაშორისო დანაშაულს წარმოადგენს. სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7 მუხლის[17] მიხედვით, იგი არის ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებითი ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტეიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას.[18] ამ მუხლით " ეთნიკური წმენდის" კვალიფიკაცია ხდება იმ ნაწილში სადაც ნახსენებია პირთა დეპორტაცია და პირთა ჯგუფის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტეიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, ვინაიდან სწორედ ადამიანთა დევდა, იძულებით გადაადგილება და დეპორტაცია ჩადენილი სხვადასხვა ნიშნითა და სხვადასხვა არაჰუმანური ქმედებით გვაძლევს სწორედ "ეთნიკური წმენდის", როგორც ქმედების შემადგენლობას. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება მე-7 მუხლშივე განმარტავს დეპორტაციას და

[16] დ. წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ.;

[17] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამათლოს რომის წესდება, 1998 წ, მუხლი მე-7.

[18] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის N 2479 – რს დადგენილებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 17 ივლისი, 1998. სისხლის სამართლის კოდექსის 408 მუხლი.

მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას - "დეპორტაცია და მოსახლეობის იძულებით გადაადგილება ნიშნავს პირთა იძულებით გადაადგილებას რაც გამოიხატა მათი გასახლებით თავიანთი კანონიერი საცხოვრებელი ადგილიდან ან სხვა იძულებითი ქმედებით, საერთაშორისო სამართლით დაშვებული საფუძვლების არსებობის გარეშე.[19] ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლში ნახსენები დეპორტაცია განმარტებულია როგორც- "სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით განდევნა და გადაადგილება თავიანთი კანონიერი საცხოვრებელი ადგილიდან: სამხედრო მოქმედებების რაიონიდან ან ოკუპირებული ტერიტორიიდან.[20] მნიშვნელოვანია ის ფაქტორი თუ რატომ არ არის "ეთნიკური წმენდა" ცალკე დამოუკიდებელი დანაშაული მაშინ, როცა ქმედება მოხსენიებულია მარავალ საერაშორისო აქტსა თუ გადაწყვეტილებაში დამოუკიდებელ ქმედებად, მათ შორის 1994 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუციაში და 1996 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ლისაბონის შეხვედრის დეკლარაციაში, სადაც წევრმა სახელმწიფოებმა გამოთქვეს შეშფოთება და ერთხმად აღიარეს იმ დროს აფხაზეთში მომხდარი ქმდებები "ეთნიკურ წმენდად".[21] [22] აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ საერთაშორისო მაშტაბით არ მოხა მისი ოფიციალური განმარტება და ამასთან რადგან აღნიშნულ ქმედებას მოიცავს ომის დანაშაულები ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ამ ეტაპამდე არ დადგა საჭიროება მომხდარიყო მისი, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის ცალკე კრიმინალიზაცია.

2.3 საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს შორის

ეთნიკური წმენდა და გენოციდი ძალიან მსგავსი ცნებებია, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი განსხვავება ერთმანეთისგან რათა შესაძლებელი გახდეს ქმედების სწორი კვალიფიკაცია. მითუმეტეს, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების თითქმის უმრავლესობის ნაწილს

[19] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998 წ, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" პუნქტი.

[20] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მერიდიანი თბილისი 2009 წ. გვ 395

[21]ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუციია, 1994 წ

[22] ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის დეკლარაცია, 1996 წ.

წარმოადგენს როგორც გენოციდი ასევე ეთნიკური წმენდა, და მათი სწორად აღქმისათვის საჭირო განვასხვაოთ ისინი ერთმანეთისგან.

ამასთან თუ გსმენიათ სიტყვა ჰოლოკოსტის შესახებ, ძალიან კარგად შეგიძლიათ გესმოდეთ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ორი კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის დროს ჩადენილი დანაშაულები ერთმანეთის მსგავსია, მათ შორის არსებობს შემდეგი განსხვავება – გენოციდის განზრახვა არის სამიზნე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წევრების ფიზიკური განადგურება, ხოლო ეთნიკური წმენდისას ხოცვას იმ მიზნით მიმართავენ, რომ სამიზნე ჯგუფის წევრები აიძულონ დატოვონ სასურველი ტერიტორია. ამგვარად ეთნიკური წმენდისას, როდესაც სამიზნე ჯგუფი იწყებს ტერიტორიის დატოვებას, მათ მიმართ ძალადობა ნელ–ნელა იკლებს, ხოლო გენოციდის დროს მასობრივი ხოცვა გრძელდება იმის მიუხედავად, სამიზნე ჯგუფის წევრები ცდილობენ ტერიტორიის დატოვებას თუ არა. ამგვარად, ეთნიკური წმენდა და გენოციდი, ორი სხვადასხვა ტერმინია, თუმცა ურთიერთდაკავშირებული – პირდაპირ და გადატანითი მნიშვნელობით, ეთნიკური წმენდა ხშირად გენოციდის ფორმებს იღებს, რადგან ადამიანების მკვლელობა მათი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის თავიდან მოშორების მიზნით ხდება.[23] ზოგიერთი მკვლევარი გენოციდს სისხლიან ეთნიკურ წმენდას უწოდებს.[24] მაშინაც კი, როცა გენოციდი კონვენციით არის განსაზღვრული და რეგულირებული, ძნელია მისი გამიჯვნა და განსხვავება ეთნიკური წმენდისაგან, გენოციდის განხორციელებისას საერთაშორისო საზოგადოება მასობრივი განდევნების და მკვლელობების საფუძველზე ახდენს კლასიფიკაციას, როგორც ეთნიკურ წმენდას. მაგალითად, როჰინგის უმცირესობის ამჟამინდელი ფართომასშტაბიანი მიგრაცია მიანმარიდან ბირმაში, დაგმობილი იქნა როგორც ეთნიკური წმენდა, თუმცა საერთაშორისო სააგენტოებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას - მიმდინარე მოვლენების კლასიფიკაციას "გენოციდი" უწოდონ. ამასთან როდესაც გენოციდი გულისხმობს ათასობით ადამიანის მკვლელობას, ეთნიკური წმენდაც შეიძლება განხორციელდეს, თუნდაც განსაკუთრებით მაღალი სიკვდილის შედეგად. ამასთან, ეთნიკური წმენდა შეიძლება იყოს გენოციდის ერთ-ერთი გზა და განზრახვა. გენოციდის მიზანი მიზნობრივი ჯგუფის განადგურებაა (ნაწილობრივი ან მთლიანი), ხოლო ეთნიკური წმენდის მიზანია მიზნობრივი ჯგუფის გადაყვანა კონკრეტული ტერიტორიიდან. [25]

---

[23] დ. წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ.;

[24] The Dark side of Democracy Explaining Ethnic Cleansing,MICHAEL MANN University of California Los angeles, Cambridge university press, 2005 y, გვ.504

[25] მაიკლ მან, დემოკრატიის ბნელი მხარე ეთნიკური წმენდის ახსნა, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2005 წ.

რაც შეეხება მათ საერთო ნიშნებს - ორივე შემთხვევაში, უმცირესობის ჯგუფებზე ხორციელდება უხეში დარღვევები (მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, განდევნა, და ა.შ), ორივე შემთხვევაში, უმრავლესობის ჯგუფები ახდენენ უმცირესობის ჯგუფის აღმოფხვრას ან განადგურება - მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება არ ყოფილიყო თავდაპირველი განზრახვა; ორივე შემთხვევაში, მოცემული ტერიტორიის ეთნიკური, სოციალური და კულტურული წონასწორობა შეიძლება მთლიანად ჩამოიშალოს; ორივე შემთხვევაში, ჯგუფია, როგორც სამიზნე და არა ინდივიდუალური წევრები; ორივე შემთხვევაში, დამნაშავე შეიძლება პასუხს აგებდეს სამხედრო დანაშაულებსა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე; ორივე შემთხვევაში, დაღუპულთა რიცხვი სავარაუდოდ ძალიან მაღალი იქნება; ორივე შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოებას აქვს უფლება და მოვალეობა ჩაერიოს და დაისაჯოს დამნაშავეები, ასევე იმოქმედოს მიზნობრივი ჯგუფების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; და ორივე შემთხვევაში, უნდა შეიქმნას საერთაშორისო ანაზღაურება და რეკონსტრუქციის მექანიზმები, რათა უზრუნველყონ მსხვერპლისა და მათი ახლობლების დახმარება.[26]

სწორედ ასეთი განსხვავებების და საერთო ნიშნების გამო, ხშირად დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული კონფლიქტების დროს მომხდარი ქმდებების კვალიფიკაცია, კერძოდ ქმედება გენოციდია თუ ეთნიკური წმენდა. აღნიშნულის გასამიჯნად მნიშვნელოვანია ბევრი ფაქტორი, თუმცა ძირითადად მათი განსხვავება უნდა მოხდეს კონფლიქტის დროს განხორციელებული ქმდებით, რათა ჩავწვდეთ უმრავლესობის ჯგუფის მიზანს და ამასთან მნიშვნელოვანია დამდგარი შედეგი.

[26] მაიკლ მან, დემოკრატიის ბნელი მხარე ეთნიკური წმენდის ახსნა, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2005 წ.

თავი III აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები

3.1. აფხაზეთის ისტორია

საქართველო დღევანდელი ტერიტორიული დაყოფით შედგება 2 ავტონომიური რესპუბლიკით: აჭარისა და აფხაზეთის. ეს უკანასკნელი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია დაყოფილია პირობით მხარეებად - გურია, იმერეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი, ლაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა მთიანეთი, სამცხა ჯავახეთი და დედაქალაქი თბილისი. რეზოლუცია - "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ/Motion on support for the territorial integrity of Georgia and its integration into the European Union“, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის. მასში ასახულია, რომ ევროპის საბჭო მყარად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამასთან განმარტებულია რომ კონფლიქტი მიმდინარეობს რუსეთსა და საქართველოს შორის, მისი ტერიტორიების აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის ფარგლებში.[27]

მნიშვნელოვანია, მანამ სანამ უშუალოდ აფხაზეთში არსებულ კონფლიქტს განვიხილავთ, ვისაუბროთ აფხაზეთის ისტორიაზე. აფხაზებსა და ქართველებს ერთობლივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. საუკუნეების განმავლობაში ისინი თანაბრად იზიარებდნენ გარეშე და შინაური მტრების მიერ მიყენებულ ტკივილს თუ საერთო გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი არქეოლოგიურად დადასტურებულია ქვედა პალეოლითის პერიოდიდან (იაშთხვას ნამოსახლარი)[28]. ანტიკური ეპოქის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოში ყალიბდება კოლხეთის სამეფო, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიასაც მოიცავს. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში აქაური დასახლებების ბაზაზე წარმოიქმნა ძველბერძნული ახალშენები: დიოსკურია, გიენოსი, ტრიგლიტი, პიტიუნტი და სხვები. ძვ. წ. I საუკუნეში კოლხეთის სამეფო დასუსტდა და დაიშალა. ამის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილების, აბაზგების და სანიგების სამთავროები წარმოიქმნა, ხოლო მთიან ზონაში – მისიმიანთა სვანური გაერთიანება. III-IV საუკუნეებში ჩამოყალიბდა ლაზთა სამეფო, რომელმაც თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელ კოლხეთთან ერთად გააერთიანა აფხაზეთის

[27] "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ რეზოლუცია/Senate of Ireland Motion on support for the territorial integrity of Georgia and its integration into the European Union.

[28] იაშთხვა — პალეოლითური ხანის ღია ტიპის ნამოსახლარი-სახელოსნო ქ. სოხუმის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე.

ტერიტორიაც. V-VI საუკუნეებში აფხაზურმა ტომებმა დასავლეთით გადაინაცვლეს. მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთიდან აფხაზურ-ადიღური ტომების წინაპართა დასავლეთ კავკასიაში გადასახლების თუ ამ ტომების კავკასიიდან მცირე აზიამდე გავრცელების თეორიის დასაბუთებას დასავლეთ საქართველოში ამჟამად არსებულო ტოპონიმებითაც ცდილობენ. როგორც უკვე ითქვა, ერთ-ერთი პირველი იყო ნ.მარი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (აჭარა, გურია, სვანეთი, რაჭა) არსებული ცალკეული ტოპონიმები 3 ათასზე მეტი წლის წინ მოსახლე აფხაზთა წინაპრებს მიაკუთვნა. საბჭოთა პერიოდში ეს მოსაზრება განავითარეს დ. გულიამ, ს. ჯანაშიამ, ივ. ჯავახიშვილმა და სხვებმა. აფხაზურ-ჩერქეზული ეტიმოლოგიის მდინარეთა და პირთა სახელების საფუძველზე დ. გულიამ მთელი დასავლეთ კავკასია, როგორც ზემოთ ითქვა, აფხაზთა წინაპრების ისტორიულ საცხოვრისად გამოაცხადა.[29] ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან უწყვეტად არსებული პირველი ქართული სახელმწიფოს – კოლხეთის სამეფოს შესახებ ცნობებს შეიცავს ძველბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ.[30] მასში გაშუქებული ცალკეული მოვლენები რიონის ხეობაში ვითარდება. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, არგონავტები თითქოს დიოსკურიაში (სოხუმში) მოვიდნენ.[31]

ქართული საისტორიო ტრადიცია, ძველბერძნული მითოლოგიიდან მოხმობილი ცნობები, ლინგვისტური მონაცემები, ასევე წინა თავში მოტანილი არქეოლოგიური მასალა, იძლევა საკმაოდ მყარ საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია აია-კოლხეთის სამეფოს, ანუ ძველი ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა და მხოლოდ ქართველთა წინაპრებით, საერთო ქართველური ენის მატარებელი ხალხით იყო დასახლებული. [32] საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის დროს (XV საუკუნის II ნახევარი) აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა. XVI საუკუნის ბოლოდან აფხაზმა ფეოდალებმა შარვაშიძეების მეთაურობით იწყეს განკერძოებისათვის ბრძოლა, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს შექმნით.[33] აფხაზთა სამეფოს მეფეები ეგრისის მეფეებად იწოდებიან. სამეფოს ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან, დაახლოებით, ჭოროხამდე, აღმოსავლეთით კი ლიხის (სურამის) ქედამდე. აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა, ქართველები (ქართები, მეგრელები, სვანები) იყვნენ. მნიშვნელოვან წილს შეადგენდნენ აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები და ტომები. სახელმწიფო

[29]თ. დუნდუა „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, „მერიდიანი“. თბ.,, 2017. გვ. 90.
[30] აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, მთარგმნ. აკაკი გელოვანი, თბ., 1975
[31] აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია., მთარგმნ. თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1958, გვ. 195.
[32] აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, მთარგმნ. აკაკი გელოვანი, თბ., 1975
[33]თ. დუნდუა „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, „მერიდიანი“. თბ.,, 2017. გვ. 97.

და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სალაპარაკო ენა ქართული იყო. სამეფო დედაქალაქი გახდა ქუთათისი - დასავლეთ საქართველოს ცენტრი. ქვეყანა დაწინაურდა ეკონომიურად - განვითარდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა. თავის დროისათვის მაღალ დონეს მიაღწია ფეოდალურმა კულტურამ, რასაც მოწმობენ ქართული ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვანი ძეგლები. წარმოქმნისთანავე აფხაზთა სამეფო აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, ცდილობდა შემოეერთებინა შიდა ქართლი, კახეთი და ჰერეთი. ერთ დროს მის შემადგენლობაში შედიოდა ჯავახეთიც. [34]

აფხაზთა სამეფო განსაკუთრებით დაწინაურდა გიორგი II-ის და მისი ძის, ლეონ III-ის დროს. ამ პერიოდში აფხაზთა სამეფო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ჰეგემონი იყო. ბიზანტიელ და არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აფხაზთა სამეფო, ისევე როგორც მთლიანად ფეოდალური საქართველო, გამარჯვებული გამოვიდა.[35]

აფხაზთა სამეფოს კულტურული და საეკლესიო პოლიტიკა ნაკარნახევი იყო მთელი საქართველოს საერთო ინტერესებით. აფხაზთა სამეფოს მმართველმა წრეებმა, ჯერ კიდევ IX საუკუნეში, გაათავისეუფლეს თავისი ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან და მცხეთის კათალიკოსს დაუქვემდებარეს . აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთა (აფხაზეთის საკათალიკოსო) იყო.[36] საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, XVII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავრო, რომელიც XVII–XVIII საუკუნეებში ფორმალურად იმერეთის სამეფოში შედიოდა. 1810 წელს აფხაზეთის მთავარმა რუსეთის მფარველობა მიიღო. 1864 წელს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება.[37] 1918 წლის 13 სექტემბრს მიღებული "საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ" კანონის თანახმად, აფხაზებს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის გათვალისწინებული 26 ადგილიდან ჰქონდათ 3 ადგილი. [38] 1918-21 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა ავტონომიის სტატუსით. ეს აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ეხება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას. კერძოდ, კონსტიტუციის მეთერთმეტე თავის 107–ე მუხლში

[34] მ.ლორთქიფანიძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტომი 1, თბ., 1997 წელი, გვ 254-256

[35] თ. დუნდუა „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, „მერიდიანი“. თბ., 2017. გვ. 101.

[36] ქართლის ცხოვრება, „მატიანე ქართლისაჲ“,ტომი 1, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ.,2012, გვ 201

[37]თ. დუნდუა „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, „მერიდიანი“. თბ., 2017. გვ. 87.

[38] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, აფხაზეთის მოკლე ისტორია, www.parliament.ge, (15.05.2020.)

ასახულია: თავი 11. ავტონომიური მმართველობა, მუხლი 107. „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს/სოხუმის ოლქი/, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას/ზაქათალის ოლქი/, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.“[39]

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის გამო ავტონომიურ მხარეების შესახებ დებულებების შემუშავება ცალკე კანონის სახით შეუძლებელი გახდა. აფხაზეთი საქართველოსთან ერთად გახდა საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი[40]

1921 წლის 4 მარტს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში და 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი. 1921 წლის 26 მარტს აფხაზეთის რევკომმა მიმართა ლენინსა და სტალინს და მოითხოვა აფხაზეთის სსრ-ს შექმნა და მისი შეერთება რუსეთის ფედერაციისთვის. 1921 წლის 31 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის სსრ-ს შექმნა. იმავე წლის 16დეკემბერს საქართვეოსა და აფხაზეთის სსრ-ებს შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი, ფაქტობრივად, შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. აფხაზეთის სსრ-ს მიეცა საქართველოს სსრ-ს წარმომადგენლობით ორგანოში დეპუტატთა 1/3-ის არჩევის უფლება. 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის სფსრ-ში აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს სსრ-ს ნაწილი. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულ იქნა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. 1925 წელს მიღებულ იქნა აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია, რომელშიც აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა აღიარებული. ეს კონსტიტუცია ძალაში არ შესულა. აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობამ გადაწყვიტა, დაესრულებინა წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი და შესაბამისობაში მოეყვანა საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებთან. კონსტიტუციის ტექსტი, რომელიც განხილულ იქნა აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობის მიერ, არ გამოქვეყნებულა. 1925 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის სსრ მოსახლე ყველა ეროვნებისათვის უზრუნველყოფილი იყო მშობლიური ენის თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების უფლება როგორც თავის ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო-სახელმწიფო დაწესებულებებში, აფხაზეთის სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა ენად კი აღიარებული იყო რუსული ენა. 1926 წლის 5 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ-ს კონსტიტუცია, რომელშიც

[39]საქართველოს კონსტიტუცია, 1921 წ. მუხლი 107. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0

[40]საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, აფხაზეთის მოკლე ისტორია, www.parliament.ge, (15.05.2020.)

დაფიქსირებულ იქნა, რომ აფხაზეთის სსრ სამოკავშირეო ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სსრ-ში და შესაბამისად ამიერკავკასიის სფსრ-ში. კონსტიტუცია დამტკიცდა 1927 წლის 23 აპრილს.[41]

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა ფიქსირებული იქნა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1937 წლის კონსტიტუციებში, შემდეგ კი სსრ კავშირის 1977 წლის, საქართველოს სსრ 1978 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციებში. ამიტომ უსაფუძვლო გახდა აფხაზი სეპარატისტების ცდები, ბოლშევიკური მანიპულაციების შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში აფხაზეთისათვის ავტონომიის სტატუსის შეცვლის ფაქტის საფუძველზე, გამოაცხადონ აფხაზეთი ისტორიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ჩამოაშორონ საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილი. აფხაზური სეპარატიზმი საბჭოთა წლებში იძენს ორგანიზებულ ხასიათს. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ერთ-ერთი სერიოზული გამწვავება ემთხვევა სსრკ-ის ახალი 1978 წლის კონსტიტუციის მიღების პერიოდს და მისი საბაბი ხდება აფხაზეთის სტატუსის საკითხი; 1985 წლიდან დაწყებულმა "პერესტროიკად" წოდებულმა პროცესებმა ქართველ ერს საშუალება მისცა ეწარმოებინა ღია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ცხადია, მას მკვეთრად დაუპირისპირდა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა. ამან თავის მხრივ გამოიწვია აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურება.[42]

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა სამართლიანი არჩევნები. 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველო იყო პირველი რესპუბლიკა, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა რუსული აგრესია. ამ აგრესიის მეტ-ნაკლებად შეკავებისა და გამოსავალის პოვნის მიზნით, ქართული მხარე მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა: 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიხედვით აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაეთმო უმცირესობას:

1. მოსახლეობის 47 % (ქართველები) პარლამენტში წარმოდგენილ იქნა 26 დეპუტატით;

---

[41] ჯ.გამახარია, „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან“,თბ., 1991წ, გვ.113.

[42] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, აფხაზეთის მოკლე ისტორია, www.parliament.ge, (15.05.2020.)

2. 17 % (აფხაზები) _ 28 დეპუტატით;

3. დანარჩენი (სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობა) _ 11 დეპუტატით;

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე _ ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. ამ დათმობების მიუხედავად, აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობა უამრავ არაკანონიერ ქმედებას ახორციელებდა, იღებდა ანტიკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ და გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს კანონები. სეპარატისტული "კანონშემოქმედებითი" საქმიანობის უკანასკნელი გამოვლინება იყო 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეწყდა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღდგენილ იქნა აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია.[43]

1925 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის სსრ მოსახლე ყველა ეროვნებისათვის უზრუნველყოფილი იყო მშობლიური ენის თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების უფლება როგორც თავის ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო-სახელმწიფო დაწესებულებებში, აფხაზეთის სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა ენად კი აღიარებული იყო რუსული ენა. აფხაზეთის 1994 წლის კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის სახელმწიფო ენად გამოცხადდა აფხაზური, ხოლო რუსული ენა აფხაზურის თანაბრად იქნა აღიარებული სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენად. ქართული ენა ფაქტობრივად აიკრძალა. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში კვლავ აისახა საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის პრინციპი, რომელიც დარჩა ამ კონსტიტუციის მოქმედების დასრულებამდე და აფხაზეთში, ქართულთან ერთად, სახელმწიფო ენად გამოცხადდა აფხაზური ენა.[44]

90-იანი წლების დასაწყისში არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1992 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყო საომარი მოქმედებები ქართულ, აფხაზურ, ჩრდილო-კავკასიელ დაქირავებულ მებრძოლებსა და რუსეთის რეგულარულ შენაერთებს შორის. შედეგად, მივიღეთ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია, საზღვარი გავლება მდინარე ენგურთან და

[43]ჯ.გამახარია, „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან“,თბ., 1991წ, გვ.112.

[44] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, აფხაზეთის მოკლე ისტორია, www.parliament.ge, (16.05.2020.)

აფხაზეთიდან გაძევებული 250 ათასამდე ქართველი. 1993 წელს შეწყდა აქტიური საომარი მოქმედებები, თუმცა დღემდე აფხხაზეთი რჩება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიად.

3.2. აფხაზეთში განხორციელებული კონფლიქტები, გენოციდი და ეთნიკური წმენდა

აფხაზეთის ომი დაიწყო 1992 წელს.ბრძოლები საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის მიმდინარეობდა. ომი ცამმეტი თვის შემდეგ დასრულდა აფხაზეთის დაცემით და ქართველების დამარცხებით. აფხაზი სეპარატისტების მხარდამხარ იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები(ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), ჩრდილო- კავკასიელთა დაქირავებული არმია, ეგრეთ წოდებული კაზაკები. მათ არაოფიციალურად მხარს უჭერდა გუდაუთის სამხედრო ბაზაზე დისლიცირებული რუსული არმიის გარნიზონი. ომის მიმდინარეობისას ჩადენილ იქნა მრავალი სამხედრო დანაშაული, რაც დღემდე გამოუძიებლი რჩება.

კონფლიქტის მოგვარების ხელშემშლელი ფაქტები იყო თბილისში მიმდინარე სამოქალაქო ომი და საქარველოს ეთნიკური ოსებით დასახლებულ მეორე სეპარატისტულ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტი.

კონფლიქტს მძიმე შედეგები მოყვა. დაიღუპა 20-30 ათასი ქართველი, 250 ათასზე მეტი კი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა. აფხაზეთის მხარეს დაიღუპა დაახლოებით 2.5-4 ათასი აფხაზი, 20 ათასი ეთნიკური აფხაზი კი ლტოლვილი გახდა.[45]

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სიტუაცია ჯერ კიდევ 1980 წლების ბოლოდან დაიძაბა, როდესაც ანტი-საბჭოურად განწყობილმა ოპოზიციამ სსრკ-დან საქართველოს გამოყოფა მოითხოვა. 1989 წლის მარტში, აფხაზმა ნაციონალისტებმა ლიხნის დეკლარაციით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ცალკე საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება მოითხოვეს. (ეს მოთხოვნა სავარაუდოდ ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ აფხაზეთი ანალოგიური სტატუსით სარგებლობდა 1925—1931 წლებში, რომელსაც საქართველოს სსრ-სთან ე. წ. „ერთიანობის ხელშეკრულება“ აკავშირებდა). ზემოთხსენებული დეკლარაცია ხელმოწერილი იქნა სოხუმის უნივერსისტეტის რექტორის მიერ. უნივერსიტეტის ეთნიკურად ქართულმა სტუდენტობამ ამ ფაქტს საპროტესტო დემონსტრაციით უპასუხა. თუმცა ეს დემონსტრაცია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ აიკრძალა. მიუხედავად ამისა, სტუდენტთა საპროტესტო

[45] ს.დავითიშვილი, კონფლიქტები საქართველოში, კონფლიქტი აფხაზეთის ავტონომიურ ოლქში, თბ.2010წ.

აქცია გაგრძელდა და საბოლოოდ აფხაზ ნაციონალისტთა ერთი ჯგუფის მხრიდან თავდასხმის ობიექტი გახდა. ამ ფაქტით გამოწვეული აღშფოთება საერთო-სახალხო მღელვარებაში გადაიზარდა როგორც სოხუმში, ასევე თბილისშიც. დაძაბულობამ პიკს 1989 წლის აპრილში მიაღწია და 9 აპრილის ტრაგედიით დასრულდა.

პირველი შეიარაღებული შეტაკება ქართულ და აფხაზურ მოსახლეობის ერთ ნაწილს შორის 1989 წლის 16-17 ივლისს მოხდა სოხუმში. გავრცელებული მოსაზრებით, შეტაკებების გამომწვევი მიზეზი გახდა სოხუმის უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისას მომხდარი ძალადობის ფაქტები. ამ ფაქტებისაგან გამოწვეული სამოქალაქო მღელვარება სწრაფად გადაიზარდა შეიარაღებულ შეტაკებებში, რომელთა შედეგად დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე, ძირითადად ეთნიკური ქართველი.[46]

საბჭოთა კავშირის მთავრობა ამ პერიოდში უკვე თავად იმყოფებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე და შესაბამისად, ეთნიკური დაპირისპირების აღმოფხვრისათვის არანაირი ქმედითი ზომა არ მიუღია.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბულობამ საშიშ ზღვარს 1992 წელს მიაღწია, როდესაც აფხაზურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა სამთავრობო სტრუქტურების შენობებს შეუტიეს. 1992 წლის 23 ივლისს, აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა ხელმძღვანელობამ რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადა. ამ განცხადებას საერთაშორისო აღიარება არ მოჰყოლია, თუმცა უკიდურესად დაძაბა სიტუაცია ცენტრსა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის, ისევე როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში.

ამრიგად, 1992 წლის 23 ივლისის დადგენილებით ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა. ცენტრსა და რეგიონს შორის დაწყებული იურიდიული ომი 22 დღეში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.[47]

1992 წლის 14 აგვისტოს დილის შვიდ საათზე საქართველოს ჯარების კოლონამ ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა. ამის შესახებ ინფორმირებული იყო აფხაზეთის ხელმძღვანელობა და ეს ოპერაცია კომუნიკაციების დაცვას ითვალისწინებდა. თუმცა აშკარა იყო, რომ ამ აქციით სახელმწიფო საბჭო ავტონომიულ რესპუბლიკაში სეპარატიზმის განეიტრალებას ცდილობდა. საქართველოს პოლიციას წინ მიუძღოდა სოხუმის ბატალიონი სოსო ახალაიას მეთაურობით, რომელიც სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის შემდეგ

[46] დ. ლაცუზბაია, ვ. ყოლბაია, რ.გელანტია, თ. ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ.
[47] დ.ლაცუზბაია, ვ.ყოლბაია, რ. გელანტია, თ.ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ.

უბრუნდებოდა დისლოკაციის ადგილს. შემდეგ მოდიოდა შენაერთი თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის დ.ზეიკიძის მეთაურობით. კონფლიქტი ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან დაიწყო პირველი გასროლით.[48]

ქართულმა მხარემ გეზი სოხუმისკენ აიღო. ქართულ შენაერთებს ცეცხლი გულრიფშის რაიონშიც გაუხსნეს. იმავე დღეს აფხაზებმა ტამიშის ხიდი ააფეთქეს და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს. მალე ქართველები სოხუმს მიუახლოვდნენ. სისხლისღვრისა და შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით ქართული შენაერთები ქალაქის შემოგარენში დაბანაკდნენ. ქალაქს აფხაზთა 300 კაციანი ფორმირება იცავდა, რომელსაც აფხაზეთის სამხედრო კომისარი სერგეი ბარი ხელმძღვანელობდა. იმავე დღეს ვლადისლავ არძინბამ სოხუმის ტელევიზიით მობილიზაცია გამოაცხადა.მისივე ბრძანებით აფხაზეთის გვარდიამ საქართველოს სამთავრობო ძალებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო. დაიწყო ასევე აფხაზ მოხალისეთა ბატალიონების ფორმირება. ქალაქში, რომელიც ტურისტებით იყო სავსე, პანიკა ატყდა. ისინი ქალაქს ყველა საშუალებით ტოვებდნენ. იმავე დღეს გაიმართა მოლაპარაკება მხარეებს შორის. მოლაპარაკებაზე არძინბა არ გამოჩენილა. 18 აგვისტოს უშედეგო მოლაპაკებების შემდეგ ქართულმა ჯარმა ქალაქში შესვლა დაიწყო. 12:30 საათზე მათ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს შენობა ბრძოლის გარეშე აიღეს. აფხაზური დროშის ნაცვლად, შენობის თავზე შინდისფერი დროშა აფრიალდა. არძინბამ ქალაქი დატოვა. 15 აგვისტოს დესანტმა ლესელიძე შტურმით აიღო. საქართველო-რუსეთის საზღვარზე ქართული დროშა აღიმართა. 19 აგვისტოს კი შავნაბადას ბატალიონმა გაგრა და დაბა კოლხიდა უბრძოლველად დაიკავა.

რუსების წყალობით სექტემბრის ბოლოს აფხაზთა შეიარაღება ქვეითთა ექვსი საბრძოლო მანქანით, ტ-72 ტიპის ტანკით, აგრეთვე საარტილერიო დანადგარებითა და ნაღმტყორცნებითაც შეივსო. იარაღთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობდა სეპარატისტების ცოცხალი ძალით მომარაგება. რუსეთის მსხვილ ქალაქებში დაქირავებულთა მოსაზიდად სპეციალური პუნქტები მუშაობდნენ. 21 აგვისტოს მთიელ ხალხთა კონფედერაციამ საქართველოს ომი გამოუცხადა. აფხაზეთში ჩამოსვლა დაიწყეს ადიღეიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩეჩნეთიდან, ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთიდან.[49]

3 სექტემბერს, მოსკოვში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ედუარდ შევარდნაძის, რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის და ვლადისლავ არძინბას შეხვედრა გაიმართა. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ 5 სექტემბრის 12 საათიდან

[48]დ. ლაცუზბაია, ვ. ყოლბაია, რ.გელანტია, თ. ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ.

[49] ს.დავითიშვილი, კონფლიქტები საქართველოში, კონფლიქტი აფხაზეთის ავტონომიურ ოლქში, თბ.2010წ.

აფხაზეთში ცეცხლი შეწყდებოდა. დოკუმენტი აფხაზეთიდან დაქირავებულთა რაზმების გაყვანას და ქართული საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის შეცვლასაც ითვალისწინებდა. შეთანხმების მიუხედავად, როგორც გუმისთის ხაზზე, ისე გაგრის მუნიციპალიტეტში პოზიციური ბრძოლები მაინც მიმდინარეობდა. 1 ოქტომბერს საღამოს ექვს საათზე, აფხაზურმა მხარემ გაგრაზე შეტევა დაიწყო. წითელი ჯვრის საგუშაგო, რომელსაც ლესელიძეს ბატალიონი იცავდა, რამდენიმე წუთში აიღეს.

5 ოქტომბერს აფხაზებმა განთიადი-ლესელიძეს მონაკვეთი აიღეს და რუსეთის საზღვარზე საკუთარი დროშა ააფრიალეს. აფხაზთა ხელში აღმოჩნდა გაგრის დაჯგუფების მთელი არსენალი. ქალაქის აღების შემდეგ, სეპარატისტები ქართულ მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდნენ. დახოცილთა გვამები პირდაპირ ქალაქის ქუჩებში ეყარა. ფართომასშტაბიანი ოპერაციის განსახორციელებლად აფხაზებმა მოქმედება გეგმაზომიერად დაიწყეს. უპირველეს ყოვლისა აფხაზებმა საორგანიზაციო საკითხები მოაწესრიგეს. 10 ოქტომბერს აფხაზებმა თავდაცვის სამინისტრო ჩამოაყალიბეს. სეპარატისტულ არმიას დაქირავებულები ყოველდღე ემატებოდნენ. 1993 წლის მარტში საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ადგილობრივი სომხებისგან დაკომპლექტებული შენაერთი, ბაგრამიანის ბატალიონი.[50]

1993 წლის 16 მარტს ღამის 3.00 საათზე გუმისთის ხაზზე მყოფ ქართულ ბატალიონებს რუსულმა ავიაციამ ცეცხლი გაუხსნა, სანგრებს ამუშავებდა არტილერიაც. საავიაციო და საარტილერიო დამუშავების შემდეგ დილის 5.00 საათზე აფხაზთა ქვეითი ნაწილები შეტევაზე გადმოვიდნენ. აფხაზებმა შეტევაში იმ დროს მათ ხელთ არსებული ყველა ძალა ჩართეს. ქართული პოზიციების მასირებული იერიში რვა კილომეტრიან მონაკვეთზე ერთდროულად დაიწყო. დარტყმის ძირითადი მიმართულება სარკინიგზო სადგურთან და აჩადარასთან შეიქმნა. 16 მარტს განსაკუთრებული როლი არტილერიამ ითამაშა. იერიშზე გადმოსულ სეპარატისტთა უკანა ეშელონი ქართული ქვემეხების ცეცხლში მოჰყვა. აფხაზებმა უდიდესი დანაკარგი განიცადეს. აშკარა გახდა, რომ აფხაზთა შტურმი მიზანს ვერ აღწევდა. დაახლოებით 15:00 საათისთვის სეპარატისტებმა უკან დახევა დაიწყეს. დღის ბოლოს გუმისთა აფხაზებისგან მთლიანად გაიწმინდა. მარტო დაღუპულების სახით აფხაზურმა მხარემ 1000-მდე კაცი დაკარგა. აფხაზებმა იმდენად დიდი დანაკარგი განიცადეს, რომ მათ რიგებში პანიკა წარმოიშვა. თუმცა ქართული მხარე იერიშზე არ გადასულა. ჯარი კონტრ-შეტევის ბრძანებას ამაოდ ელოდა. ამის გამო 16 მარტის

[50] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ 1992 წლიდან აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა სია, 2010 წელი.

გამარჯვება მხოლოდ ომის ერთ-ერთ ეპიზოდად დარჩა. მნიშვნელოვანმა სამხედრო წარმატებამ კონფლიქტის მიმდინარეობაზე გავლენა მაინც ვერ მოახდინა.[51]

16 მარტის კატასტროფის შემდეგ აფხაზურმა მხარემ გამოსავალის ძიება დაიწყო. სოხუმზე წარუმატებელი შტურმის შედეგად სეპარატისტთა არმია მთლიანად დეორგანიზებული იყო. დამარცხებიდან ერთი კვირის თავზე 23 მარტს არძინბამ დახმარებისთვის კვლავ მოსკოვს მიამართა.

14 მაისს რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო. შეთანხმება ძალაში 20 მაისიდან შედიოდა. აფხაზეთში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შემოყვანა ახალი ძალით განახლდა. ორი თვის განმავლობაში აფხაზეთში შედარებითი სიმშვიდე იყო. ქართული მხარესათვის აფხაზები მოულოდნელად გააქტიურდნენ. 2 ივლისს დილის 5.00 საათზე ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, დაბა ტამიშთან აფხაზურმა მხარემ საზღვაო დესანტი გადმოსხა. დესანტის რაოდენობა 600 კაცს შეადგენდა. ბატალიონის დესანტირებას რუსეთის სამხედრო ხომალდი უზრუნყველობდა. 2 ივლისს ტამიშის მუნიციპალიტეტში ბაზირებული ქართული ნაწილები სანაპირო ზოლის კონტროლს პრაქტიკულად არ ახორციელებდნენ. დესანტმა ამით ისარგებლა და ნაპირზე დაუბრკოლებლად გადავიდა. დესანტმა ცაკირა-ტამიშის მონაკვეთი დაიკავა.[52]

2 ივლისს, გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში ლაბრასა და ზემო კინთხში განლაგებულმა ნაწილებმა მიიღეს. დესანტთან ერთად გააქტიურდა ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში მოქმედი აფხაზური ფორმირება. ჩქირდიდან გამოსულმა ჯგუფმა ჯარების ნაწილს ჩრდილოეთიდან შეუტია. შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პოზიციაზე მყოფი ყველა ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. ქართულმა მხარემ სამი საათის განმავლობაში დაახლოებით 300-მდე მებრძოლი დაკარგა. დესანტმა ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალის კონტროლი დაიწყო. 5 ივლისს გამთენიისას აფხაზური ფორმირებები კამანში შეიჭრნენ. სოფელი დღის ბოლოს დაეცა. სოფლის აღების შემდეგ მოსახლეობა მთლიანად გაანადგურეს.

14 ივლისს აფხაზებმა შრომა-კამანის მიმართულებით ყველა სტრატეგიული სიმაღლე დაიკავეს. სეპარატისტები აკონტროლებდნენ კამანს, შრომას, ახბიუქს, აპიანდას. 17 ივლისს ქართულმა მხარემ სიმაღლეების დასაბრუნებელი ოპერაცია დაიწყო. თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად ქართულმა მხარემ სიმაღლეების დაბრუნება ვერ მოახერხა. აფხაზებმა გუმისთის ხაზს მოუარეს და ქართველთა პოზიციების ზურგში გამაგრდნენ. ასეთ ვითარებაში ქალაქის დაცვა უკიდურესად რთული საქმე ხდებოდა.

---

[51] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, აფხაზეთის მოკლე ისტორია, www.parliament.ge.;

[52] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ 1992 წლიდან აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა სია, 2010 წელი.

27 ივლისს, სოჭში კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა, რუსეთის შუამავლობით მორიგ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით აფხაზეთს ტოვებდა ყველა დაქირავებული მებრძოლი, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების უმეტესობა. სოხუმიდან უნდა გაეტანათ ქართული არმიის ჯავშან-ტექნიკა და არტილერია. აფხაზურ ტექნიკაზე კონტროლი აფხაზეთში დისლოცირებულ რუსულ ნაწილებს დაევალა. 27 ივლისი ფაქტობრივად კაპიტულაციას ნიშნავდა. სეპარატისტების მიერ სოხუმის აღება მხოლოდ დროის ამბავი იყო.[53]

1993 წლის შემოდგომა სოხუმში სროლის გარეშე დაიწყო. 1 სექტემბერს ქალაქის ყველა საშუალო სკოლაში სწავლა განახლდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ბრძოლების დროს გაიხიზნა, ხელისუფლების მოწოდების შემდეგ კვლავ სოხუმში დაბრუნდა. 27 ივლისს სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების შემდეგ აფხაზეთის დედაქალაქი ქართული შეიარაღებული ძალების კუთვნილი მძიმე ტექნიკისგან თანდათან იცლებოდა. 1 სექტემბერს სოხუმიდან უკანასკნელი ტანკი და ქვემეხი ფოთში გაიტანეს. შეთანხმების შესაბამისად ქართული მხარე გუმისთის ხაზის განაღმვასაც დათანხმდა. ქალაქი ღია და დაუცველი დარჩა.ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება აფხაზურმა მხარემ სოხუმზე შეტევის მოსამზადებლად გამოიყენა. ქალაქის შტურმისთვის სეპარატისტები საფუძვლიანად ემზადებოდნენ. შეტევის გეგმა რუსეთის გენშტაბში დამუშავდა.[54]

16 სექტემბერს სეპარატისტებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაარღვიეს და იერიშზე გადავიდნენ. აფხაზთა არტილერიამ, რომელიც წესით რუს სამხედრო დამკვირვებლებს უნდა ეკონტროლებინათ, ცეცხლი გახსნა. აფხაზთა მხარდაჭერას რუსეთის ავიაცია ახორციელებდა.

ქართული ჯარის მიერ აფხაზეთის დატოვების შემდეგ, აფხაზეთში კიდევ რამდენიმე მცირე მასშტაბის შეიარაღებული კონფლიქტები მოხდა. [55]

1998 წელს ადგილი ჰქონდა სამხედრო კონფრონტაციას, რომელიც განხორციელდა გალის რაიონში, აფხაზ ჯარისკაცებსა და ქართველ აჯანყებულებს შორის („თეთრი ლეგიონი“ და „ტყის ძმები“). კონფლიქტმა 6 დღე გასტანა და ათი ათასობით ეთნიკური ქართველის გამოდევნა მოჰყვა გალის რაიონიდან.[56]

აფხაზეთის ომის მიმდინარეობისას არაერთ დანაშაულს ჰქონდა ადგილი, მათ შორის ყველაზე მკვეთრი და გამოხატული იყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა ქართველების მიმართ,

---

[53] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, აფხაზეთის მოკლე ისტორია, www.parliament.ge.

[54] რ. გაჩეჩილაძე, ჩემი მეოცე საუკუნე, I ტომი 1901-1953, მეორე გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2011წ.

[55]რ.გაჩეჩილაძე, ჩემი მეოცე საუკუნე, I ტომი 1901-1953, მეორე გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2011წ.

[56]დ.ლაცუზბაია, ვ.ყოლბაია, რ.გელანტია, თ. ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ.

რასაც ადასტურებს როგორც აფხაზეთი[57] ასევე საერთაშორისო ორგანიაციები, დევნილი ქართველები და ბევრი სხვა ქვეყანა.

გენოციდის და ეთნიკური წმენდის ერთ-ერთი მკვეთრი გამოხატულება იყო 1993 წლის სექტემბერში, სოხუმის მახლობლად, სამი ტუპოლევის გამოშვების ავიალაინერის რომელიც ეკუთვნოდა Transair Georgia-ს ჩამოგდება აფხაზი სეპარატისტების მიერ გაშვებული საჰაერო რაკეტების მოხვედრის შედეგად. საერთო ჯამში დაღუპულთა რიცხვმა 136-ს მიაღწია. 21 სექტემბერს ჩამოგდებულ იქნა Tu-134 ტიპის თვითმფრინავი, რომელიც სოჭიდან მიფრინავდა სოხუმის ბაბუშარის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით და მას გადაჰყავდა მშვიდობიანი მოქალაქეები, სოხუმის მახლობლად მოხვდა მიწა-ჰაერის ტიპის რაკეტა. თვითმფრინავი ჩაეშვა შავ ზღვაში. დაიღუპა ბორტზე მყოფი 22 მგზავრი და ეკიპაჟის ხუთივე წევრი. 22 სექტემბერს ჩამოგდებულ იქნა თბილისიდან სოხუმისაკენ მფრენი Tu-154 ტიპის თვითმფრინავი, რომელსაც გადაჰყავდა ქართველი მოხალისეები, მოხვედრილი რაკეტის შედეგად აფეთქდა სოხუმის აეროპორტში დაჯდომისას, ასაფრენ ბილიკზე. ბორტზე იმყოფებოდა 132 ადამიანი, რომელთაგანაც დაიღუპა 108 მათგანი. 23 სექტემბერს ჩამოგდებულ იქნა ერთ-ერთ თვითმფრინავს, რომელიც უნდა აფრენილიყო ბაბუშარას აეროპორტიდან, მგზავრთა ჩასხდომის პროცესში აჯანყებულებმა საარტილერიო დანადგარიდან ესროლეს რაკეტა. ავიალაინერს გაუჩნდა ცეცხლი და დაიწვა. დაიღუპა ეკიპაჟის 1 წევრი.[58]

აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი უპირატესად ქართველები გახდნენ, მაგრამ სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა მათთან ერთად ასობით სხვა ეროვნების წარმომადგენელიც დახოცეს. მათ ბრალად ედებოდათ ქართველთა გადარჩენის მცდელობა. ასე მაგალითად, 1993 წლის ნოემბერში სოფ. ოდიშში (სოხუმის რ-ნი) ჯერ დახვრიტეს და მერე მის სახლში შეფარებულ 13 მეზობელ ქართველთან ერთად დაწვეს ბერძენი მერი ანასტასიადი. მსგავსი "დანაშაულისთვის" დახვრეტილთა შორის, გარდა ბერძნებისა, არიან აფხაზები, რუსები, სომხები, ებრაელები, უკრაინელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მათგან დავასახელებთ ოჩამჩირელ ბრანისლავა იგუმენოვას, რომელიც 1993წ. დეკემბერში დახვრიტეს იმისთვის, რომ სეპარატისტთა ბოევიკებს განუცხადა: "ასეთს ფაშისტებიც კი არ აკეთებდნენ".[59]

---

[57] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიი დადგენილება 2003 წლის 12 თებერვალი

[58]Aviation Safety network, ორბი ჯორჯიან ავიახაზები,Tupolev Tu-154B, ოთხშაბათი, 1993 წლის 21, 22,23 სექტემბერი. https://aviation-safety.net/database/record.php?id=19930922-1

[59]აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ 1992 წლიდან აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა სია, 2010 წელი.

ომით დაზარალებულთა ყველაზე დიდი ჯგუფი ეთნიკური ქართველებია, რომელთა უმრავლესობამ დატოვა აფხაზეთი და დასახლდა საქართველოს სხვა მხარეებში. საქართველოს ლტოლვილთა სამინისტრომ 1997 წლის მარტში განაცხადა, რომ საქართველოში 268,072 დევნილი ადამიანია. თავის მხრივ, აფხაზები ამტკიცებენ, რომ 1989 წელს აფხაზეთში 239.900 ქართველი იყო, საბჭოთა აღწერის თანახმად.[60] თუმცა, უამრავ ქართველს არასოდეს დაუტოვებია აფხაზეთი. აფხაზეთში ძირითადად შერეული ქორწინების წევრები დარჩნენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქმარი აფხაზი იყო. ასევე ბევრი ხანდაზმული ადამიანი დარჩა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ ახლო ნათესავები არ ჰყავდათ, რომ დახმარებოდნენ გაქცევასა თუ საცხოვრებლად უსაფრთხო ადგილის მოძიებაში. [61]

ქართველების, რუსებისა და სომხებისგან განსხვავებით, აფხაზების უმეტესობამ არ დატოვა აფხაზეთის ტერიტორია. მაგრამ აფხაზმა განიცადა მნიშვნელოვანი შიდა გადაადგილება როგორც ომის დროს, ისე მის შემდეგ. როგორც ყველა მხრიდან წყაროები იუწყებიან, სოხუმში ომის პირველ დღეებს თან ახლდა ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა და ფიზიკური ძალადობა. სანამ აფხაზეთის ხელისუფლება უკან გაბრუნდა გუდაუთაში, აფხაზები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებით, ომის ხანგრძლივობისთვის ტოვებდნენ სუხუმს გაგრასა და გუდაუთას ჩრდილოეთით. ანალოგიურად, სამხრეთით მდებარე სოფლების აფხაზი მოსახლეობა აღმოჩნდნენ დაბნეული კრისტის წინა ხაზების შუაგულში. ზოგი ასევე ჩრდილოეთით გაიქცა, ზოგიც ტყვარჩელში მდებარე აღმოსავლეთში ეძებდა უსაფრთხოებას.[62]

აფხაზეთის დე-ფაქტო პროკურატურის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის მასშტაბები და სიმძიმე შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე ქართველებისა, რომლებიც ძირითადად საკუთარ ქალაქებსა და სოფლებს იცავდნენ. რაც ყველაზე მთავარია, აფხაზები არ გამხდარან და ვერც გახდებოდნენ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი, თუნდაც იმიტომ, რომ მათ კომპაქტურ დასახლებებში ქართული სამხედრო შენაერთები არ შესულან. საოკუპაციო ძალებმა კი ამ დროს მთლიანად მიწასთან გაასწორეს ასობით ქართული დასახლებული პუნქტი, დახოცეს ან განდევნეს ადგილობრივი მოსახლეობა, დაიტაცეს (და დღემდე უკანონოდ ფლობენ) ან მოსპეს მისი

[60] კეტრინ დეილი, ეთნიკური წმენდის დინამიკა და გამოწვევები: საქართველო-აფხაზეთის საქმე, “Refworld”, 1997 წ.

[61] კეტრინ დეილი, ეთნიკური წმენდის დინამიკა და გამოწვევები, საქართველო-აფხაზეთის საქმე, “Refworld”, 1997 წ.

[62] კეტრინ დეილი, ეთნიკური წმენდის დინამიკა და გამოწვევები: საქართველო-აფხაზეთის საქმე, “Refworld”, 1997 წ.

კუთვნილი აურაცხელი ქონება ქალაქად და სოფლად. ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდათ ქართველებს, წარმოადგენს აფხაზეთის ხელში ჩაგდების, საქართველოსგან მისი მოწყვეტის ხანგრძლივი მიზანმიმართული და გეგმაზომიერი კრემლისეული პოლიტიკის უშუალო შედეგს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკა ხორციელდებოდა და ხორციელდება სეპარატისტთა სახელით და მათი ფორმალური მონაწილეობითაც, მთავარი პასუხისმგებლობა მომხდარზე რუსეთის ფედერაციას ეკისრება. სწორედ მან შეამზადა და მოახდინა ომის პროვოცირება აფხაზეთში; ის აიარაღებდა სეპარატისტებს (დღემდე აიარაღებს), რუსეთიდან შემოგზავნილ სამხედრო და ბანდიტურ ფორმირებებს; იცავდა და იცავს პასუხისმგებლობისაგან ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი საზარელი ბოროტმოქმედებების უშუალო შემსრულებლებს.[63]

ქართველების მიზანმიმართული ხოცვა და ეთნიკური წმენდა აღიარებულ იქნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ 1994, 1996 და 1997 წლის კონვენციებზე, ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტებზე, სადაც დაიგმო ომის დანაშაულებანი ჩადენილი კონფლიქტის პროცესში. 2008 წლის 15 მაისს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია A/RES/62/249 რომელშიც იგი „ხაზს უსვამს იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის ეთნიკური წმენდის შედეგად დაზარალებულთა ქონების შენარჩუნებას აფხაზეთში, და მოუწოდებს ყველა წევრ ქვეყანას არ დაუშვან მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ მოქალაქეთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქონების უკანონო მოპოვება“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ასევე მიიღო რიგი რეზოლუციები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფხაზეთის ომის გამომწვევი მიზეზი გახდა ბევრი ფაქტორი, რომელიც ერთმანეთს დაემატა და მივიღეთ ის რაზეც უკვე ვისაუბრეთ და ის შედეგი თუ ზარალი, რაც საუბრის გარეშეც ყველა ხედავს და ბევრი მათგანისთვის აფხაზეთის ომი დღემდე პირადი ტრაგედია და ოჯახში სიდუხჭირის მთავარი მიზეზია, მაში როცა უკვე ომიდან 26 წელზე მეტი გავიდა. აფხაზეთის ომში განხორციელებული გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ ყველა დანაშაულში ერთდროულად ბრალი მიუძღვით ყველა იმ მხარეს რომელიც მასში მონაწილეობდა თუმცა რათქმაუნდა ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად იყო ზ/ხსენებული დანაშაულების განხორციელებაში დამნაშავე და ზოგიერთი უფრო ნაკლებად.

---

[63] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ 1992 წლიდან აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა სია, 2010 წელი.

3.3 აფხაზეთში განხორციელებული კონფლიქტების შედეგები და მათი მოგვარების გზები

აფხაზეთში განხორციელებული კონფლიქტის შედეგად მივეღეთ ისეთი მძიმე შედეგი, რომელიც დღემდე მოჰყვება საქართველოს და საქართველოს მოსახლეობას, როგორც შვილების დაკარგვით, ტერიტორიის დაკარგვით, გადაადგილების და თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვით, უამრავი ოჯახის ტრაგედიით, ქონების განადგურებით, ოჯახების და სანათესაო წრის გახლეჩით, ათასობით დევნილით და მრავალი სხვა მძიმე შედეგით.

კონფლიქტის შედეგად ქართული მხრიდან 3.000-ზე მეტი მხოლოდ ჯარისკაცი დაიღუპა. სეპარატისტები და მათი თანამებრძოლები საშინლად გაუსწორდნენ აფხაზეთის მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას, მხოლოდ პატარა საკურორტო ქალაქ გაგრაში 1.000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე გამოასალმეს სიცოცხლეს სასტიკი წამებითა და შეურაცხყოფით. ეთნიკური წმენდა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების საშინელი ფაქტებია დაფიქსირებული გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის მუნიციპალიტეტებში. სეპარატისტები ხშირ შემთხვევაში მათ მიერ აღებული სოფლების ქართულ მოსახლეობას თითქმის მთლიანად ანადგურებდნენ (სოფ. ოთხარა-გუდაუთის მუნიციპალიტეტი; სოფ. ახალშენი, სოფ.კამანი, სოფ.შრომა, სოფ.ზემო ეშერა-სოხუმის მუნიციპალიტეტი; სოფ. ახალდაბა, სოფ. ახალი კინდღი, სოფ. ქოჩარა, სოფ.მერკულა-ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) და ა.შ. ქართველების განადგურებამ პიკს ქალაქ სოხუმში მიაღწია, ქალაქის აღების შემდეგ 1.000-მდე სოხუმელი გახდა საშინელი წამების მსხვერპლი. საერთო ჯამში დაუზუსტებელი ინფორმაციით 5.000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

მძიმე დანაკარგები განიცადა სეპარატისტული იდეებით მოწამლულმა მცირერიცხოვანმა აფხაზმა ხალხმაც, მათ 3.000-ზე მეტი თანამემამულე დაკარგეს. ომის პერიოდში დაიღუპა ასევე რამდენიმე ასეული რუსი და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებული მებრძოლი.[64]

საომარი მოქმედებების გამო აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ განიცადა უზარმაზარი ნგრევა და ეკონომიკის კოლაფსი. მთლიანად განადგურდა რკინიგზა. განადგურდა 450 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა, 32 ხიდი, 500 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ინფორმაციით კონფლიქტის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განადგურდა 49.000-მდე შენობა, აქედან 43.000 კერძო საცხოვრებელი სახლი. 30 ერთეული

[64]დ.ლაცუზბაია, ვ.ყოლბაია, რ. გელანტია, თ. ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ.;

კულტურისა და 25 ერთეული ადმინსიტრაციული ობიექტი. ქალაქ სოხუმში განადგურდა 10.000-მდე შენობა, გაგრის მუნიციპალიტეტში 9.000 შენობა, სოხუმის მუნიციპალიტეტში 2.500 შენობა, გუდაუთის მუნიციპალიტეტში 400 შენობა, გულრიფშის მუნიციპალიტეტში 4.000 შენობა, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში 8.000 შენობა, გალის მუნიციპალიტეტში 15.000 შენობა.[65]

აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს 1993 წლის ნოემბრიდან გაერო-ს ეგიდით, ეუთო-ს მონაწილეობითა და რუსეთის „შუამავლობით“. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის „სამშვიდობო“ მისიამ აფხაზეთში, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა, უზრუნველყო მხოლოდ კონფლიქტის სამხედრო ფაზის შეწყვეტა და ძალის გამოუყენებლობის რეჟიმის შენარჩუნება. კონფლიქტის მოწესრიგების სახელშეკრულებო ბაზის ძირითადი მოთხოვნები კი _პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა, ლტოლვილთა დაბრუნება და უსაფრთხოება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დე ფაქტო აღდგენა - 1993 წ. სექტემბრის მდგომარეობით ბლოკირებულია და ფაქტობრივად გაყინულია. [66]

კრიტიკული სოციალური თეორიის მიხედვით, ძალიან მნიშვნელოვანია დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგი. ამ თეორიის მიხედვით კონფლიქტი ვერ აიხსნება მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური ზედაფენის ანალიზის საფუძველზე. საჭიროა დაპირისპირებული მხარეები დავარწმუნოთ, რომ შეხედულებათა განსხვავება, არამსგავსება პრობლემა არ არის და შეიძლება მათი შეთანხმებაერთმანეთთან.[67]

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ძირითადი მიმართულებების თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზოგადი ხედვა წარმოდგენილია დოკუმენტში „უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები თბილისსა და სოხუმს შორის“. მას უფრო ხშირად„ბოდენის დოკუმენტს“ უწოდებენ. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, „ბოდენის დოკუმენტთან“პრინციპული ხასიათის პრეტენზიები აქვთ, როგორც აფხაზურ, ასევე ქართულ მხარესაც. აფხაზურ მხარეს აშინებს საქართველოს სახელმწიფოში რეინტეგრირება, ხოლო ქართულ მხარეს – აფხაზეთის სუვერენული სტატუსის დაფიქსირება. „ბოდენის დოკუმენტის“ფუძემდებლური პრინციპების კონკრეტული, სამართლებრივად და პოლიტიკურად

---

[65] დ.ლაცუზბაია, ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, თ. ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ. გვ 124.

[66] ბ.სურგულაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი
2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში, თბ.,2017 წ. გვ.54

[67] თ. ჯანელიძე, აფხაზეთის კონფლიქტი და რუსეთი და2. სავლეთის პოლიტიკურ კვლევებში, თბილისი, 2007წ, გვ.72

გამართული, დემოკრატიული მექანიზმებითა და გარანტიებით შევსების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებების შემუშავება. ოღონდ, ეს უნდა გააკეთონ უშუალოდ მხარეებმა, რადგან ვერც გაერო და ვერც ეუთო მათგან დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს, სუვერენიტეტის კონკრეტულად რა ხარისხი შეიძლება შეესაბამებოდეს ორივე მხარის ინტერესებს.[68]

წარსულის ქექვა ამ სიტუაციაში შერიგებისთვის ხელშემწყობი ფაქტორი სულაც ვერ იქნება, რადგანაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუ იმდროინდელი აფხაზი არისტოკრატიის ნაწილი მთლიანად იყო დაკავშირებული ქართულსამყაროსთან კლასობრივი თუ სხვადასხვა თვალსაზრისით, იგივეს ვერ ვიტყვით ამ მხარის სხვა ადგილობრივებზე. როგორც ცნობილია ეს ეთნიკურად ჭრელი რეგიონი იყო სადაც აფხაზური და ქართული წარმომავლობის ხალხთა საცხოვრებელი ადგილის საზღვარი მუდმივად იცვლებოდა, შესაბამისად, ამათუ იმ ოჯახის აფხაზობა ან მეგრელობა უფრო კონკრეტული გარემოებების შედეგს წარმოადგენდა, ვიდრე წმინდა ეთნიკური წარმომავლობა, ამიტომაც ფაქტია, რომ ორი ეროვნული იდენტობა ჩამოყალიბდა. მეგრულმა მოსახლეობამ თავი თუ სრულიად მოიაზრა ერთიან ქართული ეროვნულ ფარგლებში, აფხაზობა კი განსხვავებული ეროვნული იდეის საფუძველი გახდა. საბჭოთა პერიოდში, ქართველთა და აფხაზთა ეთნოსების–აწ უკვე თანამედროვე ეთნიკური ერების–პოლიტიკური იდეალები რადიკალურად დასცილდა ერთმანეთს. დარჩა ყოფისა და ტრადიციის მსგავსება, მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური ერთობისათვის.[69]

---

[68] ბ.სურგულაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში, თბ.,2017 წ. გვ.60

[69] ბ.სურგულაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში, თბ.,2017 წ. გვ.62

თავი IV სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტები

4.1 სამხრეთ ოსეთის ისტორია

ოსი ხალხის ჩამოყალიბება ძვ. წ. VIII-IX საუკუნეებიდან დაიწყო ოსებს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ ისტორიულ დოკუმენტებში: ბიზანტიურ, არაბულ, სპარსულ, სომხურ და დასავლეთევროპულ წყაროებში ისინი ზოგან ალანებად იწოდებიან, ზოგან — ასებად, რუსულ წყაროებში იასი (ясы) ეწოდებათ, ქართულ წყაროებში — ოვსი ან ოსი. ქვეყანას, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ქართველებმა ოვსეთი-ოსეთი შეარქვეს. აქედან გავრცელ-და თანამედროვე რუსული სახელწოდებები осетины, Осетия. თვითონ ოსები თავიანთ თავს ირონს (ирон) უწოდებენ, ხოლო თავიანთ ქვეყანას — ირისთონს (Игрыстон).

მეცნიერთა ერთი ნაწილი ოსებს სკვით-ალან-სარმატთა პირდაპირ შთამომავლებად მიიჩნევს. ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს. ოსები ლაპარაკობენ ორ დიალექტზე — ირონულსა და დიგორულზე. ლიტერატურული ენის საფუძველია ირონული დიალექტი. X-XIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში შეიქმნა ოსების ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო. საქართველოს მთიანეთში ოსების დასახლება ძირითადად XVII საუკუნეში მოხდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში მიგრაცია მიმდინარეობდა XVIII საუკუნეში. თანდათანობით კომპაქტური დასახლებები გაჩნდა დვალეთში, მდინარეების ლიახვისა და ქსნის ხეობებში, თუმცა ოსების დიდი ნაწილი დისპერსულად განსახლდა მთელ საქართველოში. XIII-XIV საუკუნეებში თათარ-მონღოლთა და თემურლენგის შემოსევათა შედეგად ბარის მოსახლეობამ დვალეთის ხეობებში გადაინაცვლა და ჩამოყალიბდა თაგაურის, ქურთათის, ალაგირის და დიგორის საზოგადოებები. იმავე ხანებში დაიწყო ოსების დამკვიდრება კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და გამოიყო ოსი ხალხის სამხრეთი შტო. ოსები ემორჩილებოდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლებას და ცალკეულ სათავადო სახლებს.[70]

XVIII ს-ის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტობრივად არსად ცხოვრობდნენ. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ხოლო 1922 წლის 22 აპრილს მოხდა ოსეთის როგორც ოლქის

[70] ზ. ჭიჭინაძე: „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ“ (ისტორიული მიმოხილვა) ტფილისი 1916 წ.

გამოცხადება, რაც დაკავშირებულია საქართველოში იმ დროისთვის მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან კერძოდ 1921 წლის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობასთან და საქართველოს გასაბჭოებასთან. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იყო ეროვნული ტერიტორიული ერთეული, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ადმინისტრაციული ავტონომიის უფლებით. ოლქის სამართლებლივი მდგომარეობის განმსაზღვრელი სპეციალური იურიდიული აქტი იყო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, რომელიც მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით (1980). ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო იყო — სამხრეთ ოსეთის აო სახალხო დეპუტატთა საბჭო, რომელიც 140 დეპუტატისგან შედგებოდა და ირჩევდა თავის აღმასრულებელ კომიტეტს.[71]

4.2 სამხრეთ ოსეთში გავრცელებული კონფლიქტები და მათი შედეგები

საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ეთნიკური დაძაბულობა ჯერ კიდევ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1920 წ.წ) პერიოდიდან იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა ოსებს რუს ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, რაც ოსური მხრიდან საპასუხო რეაქციებს იწვევდა. 1918–1920 წლებში რამდენიმე ოსური აჯანყება განხორციელდა, რომელთა მთავარ მიზანსაც დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოდგენდა. რეგიონში ძალადობამ იფეთქა, მას შემდეგ რაც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყების ჩახშობა სცადა და ცხინვალში სახალხო გვარდია და რეგულარული არმიის შენაერთები გაგზავნა. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო პირველი კონსტიტუცია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში. იგი მიღებიდან მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში ითვლებოდა მოქმედ აქტად, ვინაიდან 25 თებერვალს უკვე დაკარგა რეალური იურიდიული ძალა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო. მიუხედავათ ამისა, მისი ისტორიული როლი და გავლენა საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარებაზე მეტად მნიშვნელოვანია. ამ კონსტიტუციით საქართველო გამოცხადდა თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოწესრიდგა ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა და გამოცხადდა ავტონომიური მმართველობა აფხაზეთში (სოხუმის

[71] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია,www.parliament.ge.

ოლქი), სამუსლიმანო საქართველოში (ბათომის მხარე) და ზაქათალაში (ზაქათალას ოლქი). კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული ავტონომიური მმართველობის მინიჭება შიდა ქართლის იმ ნაწილისთვის, სადაც კომპაქტურად სახლობდნენ ოსები. თუმცა, ,,საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შესახებ" 1918 წლის 13 სექტებრის კანონის მიხედვით, ,,იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება", ჰქონდათ ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლის ყოლის უფლება.[72] ეროვნული უმცირესობისათვის გამოყოფილი 26 ადგილიდან 2 ადგილი გათვალისწინებული იყო ოსებისთვის.[73]

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ შეიქმნა რუსეთისა და საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წყალობით 1922 წლის 20 აპრილს. ეს აქცია გაფორმდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დეკრეტით ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ". ამ დეკრეტით რეგიონს მიეცა ავტონომიისათვის დამახასიათებელი და საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი ყველა უფლება. სამხრეთ ოსეთის სტატუსის ფორმირებასთან დაკავშირებით, 1925-1927 წლებში განიხილებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების იდეა. თუმცა, 80-იანი წლების მიწურულამდე, როდესაც სსრკ-ს დაშლის ნიშნები გაჩნდა, არ ჰქონია ადგილი რაიმე ექსცესს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით.[74]

ქართულ–ოსური ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა 1980–იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც 1985 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო საბჭოთა პოლიტიკური ლიბერალიზაციის პროცესები. მიმდინარე მოვლენებმა კვლავ განაახლა ქართველებისა და ოსების წინარე საბჭოური ისტორია და რუსეთის იმპერიის ნგრევის დროინდელი დაპირისპირებები. საქართველოში გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რის პარალელურადაც გააქტიურდნენ სეპარატისტული მოძრაობები ყოფილ ცხინვალის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.[75]

---

[72] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყება, N11 (591), გვ. 7-8, თბ., 1989 წ

[73] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია,www.parliament.ge.

[74] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია,www.parliament.ge.

[75] საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული მოწყობისა და მისი ორგანოების კომპეტენციის დადგენის თვალსაზრისით, ყველაზე დეტალური დოკუმენტია 1980 წლის 12 ნოემბრის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონი "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ". სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთოთხმეტე სესიის მეოცე მოწვევის 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად და ეთხოვა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის, შეყვანის შესახებ. 1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ" და აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება. 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი "სამხრეთ ოსეთის ავტონომოური ოლქის გაუქმების შესახებ"[76], რომელშიც ნათქვამი იყო, რომ "მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი,[77]ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა. იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე - ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლიდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება", საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ბათილად და იურიდიული ძალის

კომისიის აპარატი,ინფორმაციული ცნობა"ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ, www.parliament.ge.

[76] საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, 1990 წ.

[77] საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, 1990 წ.

არმქონედ ცნო ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.[78]

1991 წლის იანვარში მხარეებს შორის პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია დაიწყო, მას შემდეგ რაც რამდენიმე ათასი ქართველი სამხედრო შევიდა ცხინვალში. 1 წლის განმავლობაში რეგიონში დაისადგურა ქაოსმა, რასაც პერიოდულად თან ერთვოდა შეიარაღებული დაპირისპირება.

1991 წლის 7 იანვარს სსრკ პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მიერ გამოცემულ ბრძანებულებაში ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სსრ კავშირის კანონებს ეწინააღმდეგებოდა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის აქტები. ბრძანებულების თანახმად, 3 დღის ვადაში "სამხრეთ ოსეთის ავტონომოური ოლქის" ტერიტორიიდან გაყვანილ უნდა ყოფილიყო შეიარაღებული ფორმირებები, გარდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა. გორბაჩოვის ბრძანებულების შემდეგ დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება ცხინვალში შეყვანილ ქართული მილიციის დამატებით ძალებსა და ადგილობრივ ოსურ მოსახლეობას შორის. რამდენიმე დღეში მილიციის დამატებითმა ძალებმა ცხინვალი დატოვეს, რასაც ქალაქის ქართული მოსახლეობისგან დაცლა მოჰყვა. შეიარაღებული კონფლიქტი ყველაზე აქტიურ ფაზაში სწორედ ამ მოვლენების შემდეგ შევიდა.

1991 წლის 3 მარტს შედგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბორის ელცინის შეხვედრა დაბა ყაზბეგში. შეხვადრის ოქმის მიხედვით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისთვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეებმა დათქვეს შემდეგი: "...3. რუსეთის სფს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტეროტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას. რაზმს ევალება ვითარების სტაბილიზაციამდე ამ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა". 1992 წლის 24 ივნისს სოჭში ხელი მოეწერა ელცინსა და შევარდნაძეს (რუსეთსა და საქართველოს) შორის შეთანხმებას "საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ". შეთანხმების მიხედვით, ცეცხლის შეწყვეტის, შეიარაღებული

[78] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია,www.parliament.ge.

ფორმირებების გაყვანის, თავდაცვის ძალების დაშლისა და უშიშროების რეჟიმის უზრუნველყოფისადმი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნულ ზონაში შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით. აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისთვის საკონტროლო კომისიასთან მხარეთა შეთანხმებით შეიქმნა შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით. [79]

1993-2000 წლებში სიტუაციის დარეგულირების მიზნით სხვადასხვა დონეზე კიდევ არაერთი შეხვადრა შედგა, ხელი მოეწერა ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს, რომელთა მიზანი იყი სტაბილიზაცია და კონფლიქტის მხარეებს შორის სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში ურთიერთნდობის აღდგენა და გამყარება. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო, არ სრულდებოდა მხარეთა ვალდებულებები, გრძელდებოდა შეიარახებული თავდასხმები, კრიმინოგენური სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარებოდა და მოსახლეობა კვლავ დაუცველად გრძნობდა თავს. ევროპარლამენტის მიერ 2001 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში ევროპარლამენტი "გამოთქვამს წუხილს, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი დე-ფაქტო მოქცეულია საქართველოს იურისდიქციის, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს გარეთ, რასაც აღიარებს საქართველო ევროპის საბჭოში სრულუფლებიანი წევრობით და რისი ხელყოფაც ხდება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე". რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით, ევროპარლამენტი "მიუთითებს, რომ სავიზო რეჟიმის შემოღება, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სუვერენული სახელმწიფოს უფლებაა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი სავიზო რეჟიმიდან სეპარატისტული რეგიონების ცხინვალისა და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის (რასაც რუსეთის ფედერაციის მთავრობა ოფიციალურად უჭერს მხარს) ხელყოფად აღიქმება და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას, გადასინჯოს ეს გეგმები და გაითვალისწინოს, რომ ისინი შესაძლოა საქართველოს უდავო ტერიტორიების დე-ფაქტო ანექსიად აღიქვან". [80]

2005 წლის იანვარში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან გაახმოვანა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ. პრეზიდენტის თქმით, წარმოდგენილი გეგმა "ცხინვალის რეგიონს ავტონომიის კონსტიტუციურ

---

[79] საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატი,ინფორმაციული ცნობა"ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ, www.parliament.ge.

[80] ჯ. გვასალია„საქართველო არის ესე“, ტ.8 გამომცემლობა „ციცინათელა“, 2003 წ.

გარანტიას აძლევს, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი შტოსა და პარლამენტის თავისუფალი და პირდაპირი არჩევის უფლებას გულისხმობს". 2005 წლის 15 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიაზე გამოსვლის დროს საქართველოს პრეზიდენტმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ "საქართველო არასოდეს შეურიგდება მასობრივ წმენდას. ამის სამართლებრივი არგუმენტაცია ამორალურია და მომავლისათვის საშიშ პრეცენდენტს ქმნის".

ომმა საკმაოდ მძიმე შედეგები მოიტანა ორივე მხარისათვის. გავრცელებული ცნობებით დაიღუპა 2000–4000 ადამიანი, განადგურდა საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა, ათი ათასობით ადამიანი გახდა ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირი.[81]

ცხინვალის რეგიონებში დარჩენილი ქართველი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვა და ღირსების შელახვა, ეთნიკური იდენტობის შეცვლის იძულების გზით დღემდე გრძელდება, კიდევ უფრო საგანგაშოა ეთნიკურ ნიადაგზე წამებისა და მკვლელობის შემთხვევები, რასაც ადასტურებს დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები.

მიუხედავად მრავალი შეთანხმებისა, 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში ომი დაიწყო, რომელიც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით “რუსეთ-საქართველოს ომი”.

[81] ფონდი „ღია საზოგადება საქართველო”, “ქართულ–ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ,” ფონდის “ღია საზოგადოება საქართველო სერია N1, 2005 წ.

თავი V. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი

5.1. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და შედეგები

მანამ სანამ გადავალთ უსუალოდ აგვისტომ ომზე განვიხილოთ მისი გამომწვევი მიზეზები. 2008 წლის გაზაფხულზე დაძაბულობამ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის უმაღლეს ხარისხს მიაღწია. 6 მარტს რუსეთმა დაარღვია დსთ–ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება "აფხაზეთში/საქართველო კონფლიქტის დარეგულირების შესახებ" და აფხაზეთს დაწესებული ეკონომიკური სანქციები მოუხსნა. ქართულმა მხარემ რუსეთის ამგვარ ქმედება აფხაზეთის სრული მილიტარიზაციის დაწყებად გამოაცხადა. მომდევნო თვეების განმავლობაში ქართულ–რუსული ურთიერთობები კანონებისა და ურთიერთბრალდებების შემცველი განცხადებების საინფორმაციო ომში გადაიზარდა. 21 მარტს რუსეთის დუმამ აღმასრულებელ ხელისუფლებას რეკომენდაცია მისცა ეღიარებინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. ქართულ–რუსული დაპირისპირების პარალელურად სიტუაცია დღითიდღე მძიმდებოდა კონფლიქტის ზონებში, იღუპებოდნენ მშვიდობისმყოფელები, პოლიციელები და სამოქალაქო პირები. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 3 ივლისს, ოსური სოფლის დმენისის პოლიციის უფროსის ნოდარ ბიბილოვის აფეთქების შემდგომ. მომხდარ ფაქტში ოსურმა მხარემ საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა. იმავე დღეს ნაღმზე აფეთქდა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსის სანაკოევის მანქანა, თავად სანაკოევი უვნებლად გადარჩა. მომხდარი ქართულმა მხარემ ტერორისტულ აქტად შეაფასა. 2008 წლის 8 ივლისს რუსეთის ოთხმა სამხედრო თვითმფრინავმა კიდევ ერთხელ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. ქართულმა მხარემ აღნიშნულ ქმედების საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევა უწოდა და საქართველოს ელჩი რუსეთში "კონსულტაციებისათვის" გამოიწვია.[82]

2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში ომი დაიწყო. სამხრეთ ოსეთმა საქართველო დაადანაშაულა ფართომასშტაბიან აგრესიაში ცხინვალის წინააღმდეგ. მაშინ როდესაც საქართველო აცხადებდა, რომ ინტენსიურად იბომბებოდა ქართული სოფლები კონფლიქტურ ზონაში. იმავე საღამოს მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე და სამხრეთ ოსეთსაც მოუწოდა იმავე ქმედებისაკენ. ასევე მოუწოდა სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებისაკენ და კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაადასტურა, რომ სამხრეთ ოსეთი ისარგებლებდა მაქსიმალური ავტონომიით საქართველოს შემადგენლობაში. ქართული მხარის განცხადებით

[82] საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია,www.parliament.ge.

სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები არ წყვეტდნენ თავდასხმას ქართულ სოფლებზე და აძლიერებდნენ სახმელეთო ძალებს რეგიონში. აღნიშნული ქმედებებით კი საქართველოს „აიძულებედნენ“ დაერღვია ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ცალმხრივად აღებული ვალდებულება.[83]

8 აგვისტოს დილას, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, დაგმო საქართველოს „აგრესიული ქმედებები“ და თქვა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა. 09:30 საათზე პრეზიდენტმა მედვედევმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, კონფლიქტის შესახებ რუსეთის შესაძლო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. ნახევარ საათში, საქართველოს წყაროების ცნობით, სამი რუსული სუ-24 საქართველოს საჰაერო სივრცეში იჭრება და ორ ბომბს აგდებს ქარელის პოლიციის სადგურთან. ამავე წყაროს ცნობით რამდენიმე ბომბი გორის სიახლოვესაც ჩამოვარდა, თუმცა მათ მსხვერპლი არ მოჰყოლია.[84]

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს განცხადებით, თუ ცნობები რუსული ტანკების შესახებ ცხინვალის რეგიონში დადასტურდებოდა, საქართველო რუსეთს ომს გამოუცხადებდა. რუსეთის ტანკების ცხინვალში შესვლა მცირე ხანში დაადასტურა CNN-მა. იმავე ღამეს რუსული და ოსური ძალები ქალაქის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ. რუსეთის ავიამოიერიშეებმა გორის დაბომბვა დაიწყეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით რუსულმა ბომბდამშენებმა ორი ბომბი ჩამოაგდეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. რუსულმა თვითმფრინავებმა ასევე დაბომბეს სამხედრო აეროდრომი მარნეულში, რამაც ოთხი ადამიანი იმსხვერპლა, რომელთაგან სამი ქართველი ჯარისკაცი იყო. დაახლოებით 23:45 წუთზე, რუსულმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ფოთზე, კერძოდ კი — პორტზე. ასევე 58-ე არმიის კუთვნილი ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს ე.წ. ტოჩკა-უ-თი (რომლებიც ოჩამჩირეში იყო განთავსებული) გაშვებულ იქნა ორი რაკეტა, რომელიც ფოთის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

15 სექტემბერს ნიუ-იორკ ტაიმზმა გამოაქვეყნა მტკიცებულების დეტალები, რომელიც საქართველომ აშშ-ს და ევროპის სადაზვერვო სამსახურებს გადასცა იმის დასადასტურებლად, რომ რუსული სამხედრო ტექნიკა როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონში შევიდა იმაზე ერთი დღით ადრე, ვიდრე საქართველო 7 აგვისტოს გვიან ღამით ცხინვალზე შეტევას განახორციელებდა. მტკიცებულება შეიცავს სატელეფონო ჩანაწერს ორ ოს სამხედრო მოსამსახურეს შორის. საუბარი

[83] Dzhindzhikhashvili Misha, “Russia seizes Georgia base, opens second front“, The Associated Press, 2008-08-11.

[84] იულია ლატინაინა, ეჟედნევნი ჟურნალის სტატია-ანალიზი სამხრეთ ოსეთის მოვლენებზე და წინაპირობებზე, 11.08.2008 წ.

ოსურად მიმდინარეობს. ერთი მათგანი, სავარაუდოდ, არის მესაზღვრე, რომელიც როკის გვირაბთან იმყოფებოდა, ხოლო მეორე — მისი მეთაური ცხინვალში.

აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ჩარევის შედეგად მოხერხდა. სარკოზიმ 12 აგვისტოს 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი თბილისში შეათანხმა. 8 სექტემბერს კი, მედვედევთან და სააკაშვილთან სამშვიდობო გეგმის ახალი დეტალები დააზუსტა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიხედვით, რუსულ შეიარაღებულ შენაერთებს კონფლიქტის ზონების გარეთ მდებარე ტერიტორია ერთი თვის ვადაში უნდა დაეტოვებინათ. პირველი ოქტომბრიდან კი, საქართველოში პატრულირება ევროკავშირის დამკვირვებლებმა დაიწყეს. რუსული ჯარების გაყვანის პროცესის შესამოწმებლად გორის რაიონს 10 ოქტომბერს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი ეწვია და რამდენიმე სოფსელში ჩავიდა. მისი შეფასებით, მოსკოვმა შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. რუსი ოკუპანტები კვლავ რჩებოდნენ სოფელ პერევში, რომელიც 2010 წლის 18 ოქტომბერს დატოვეს.[85]

რუსეთმა 26 აგვისტოს აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა (საქართველოს სეპარატისტული რეგიონი) და სამხრეთ ოსეთი. 28 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ. ამის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან. 2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის თანახმად, ეს ადგილები, სადაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსის გათვალისწინებით.

რუსეთის მიერ ამჟამად ოკუპირებულია ორი ქართული რეგიონი, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (სამხრეთ ოსეთი). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 14 პოლიციელი, ხოლო 1 747 დაიჭრა. სახლები დატოვა თითქმის 150 000-მა ადამიანმა, მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30 000-მდე. რაც შეეხება ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეებს, თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, სულ დაღუპულად 169 სამხედრო მიიჩნევა, აქედან ხუთი უგზო-უკვლოდ დაკარგულია, თუმცა კანონის გათვალისწინებით, ვინაიდან ორი წლის განმავლობაში ვერ აღმოაჩინეს ვერც ცხედარი, არც რაიმე მინიშნება მათი სიცოცხლის შესახებ, მათ გარდაცვლილის სტატუსი მიენიჭათ. [86]

[85] ყველა სიახლე, “,ისტორია, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს - აგვისტოს ომი”, 08.08.2017 წ.
[86]ყველა სიახლე, “,ისტორია, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს - აგვისტოს ომი”, 08.08.2017 წ.

მკვლევარების მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად და მოძიებული დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე დაიდო დასკვნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში, რუსული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ ერთობლივად განხორციელებული ე.წ. „მშვიდობის იძულების“ ოპერაციის მიზანი იყო ყოფილი სამხერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ეთნიკურად ქართული მოსახლეობისაგან გაწმენდა. ეთნიკური წმენდა, რომელიც საქართველოში განხორციელდა, წინასწარ იყო დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული, სისტემურ ხასიათს ატარებდა და წარმატებული აღმოჩნდა.[87]

სახლების ძარცვას, გადაწვასა და მოსახლეობის დევნასთან ერთად, ადამიანების ცემა, შეურაცხყოფა, დაშინება და მუქარა ჩვეულებრივ ამბად იქცა 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში. უფრო მეტიც, იყო ადამიანების სიცოცხლის მოსპობის მრავლობითი შემთხვევებიც. რესპონდენტები განსაკუთრებული ტკივილით იხსენებდნენ, სოფლიდან გამოქცეულებს როგორ ხვდებოდათ გზად დახოცილი მეზობლების ან ახლობლების გვამები. ნაწილი დაბომბვის მსხვერპლი გახდა, ნაწილი ბრმა ტყვიისა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც სრულიად გამიზნულად, თვითმხილველების კიდევ უფრო მეტად დასაშინებლად მათ თვალწინ ხოცავდნენ ადამიანებს.[88]

აგვისტოს ხუთდღიანი ომი მრავალი წლის მანძილზე იქნება განსჯის საგანი, ბევრს იტყვიან და დაწერენ ომის ქართული ვერსიის, რუსული ვერსიის, ოსური ვერსიის, ევროპისა თუ ამერიკის ხედვის შესახებ. დღესაც ბევრს წერენ და კიდევ ბევრს იტყვიან ომის მიზეზებზე, შედეგებზე, გეოპოლიტიკაზე, სხვათა სტრატეგიულ ინტერესებზე, საქართველოს შეცდომაზე, რუსეთის იმპერიულ ამბიციებზე, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლებს ამბობენ ადამიანურ ტრაგედიაზე, იმ ათიათასობით დევნილზე, რომლებმაც უკვე მერამდენედ დაკარგეს მიწაწყალი და სახლ-კარი, დაკარგეს მშვიდობა.[89]

იმის მიუხედავად, თუ რამდენჯერ გამოაცხადა ე. წ. „სამხრეთ ოსეთმა“ საკუთარი დამოუკიდებლობა, 2008 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ეს უკანასკნელი არც ერთი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის, თავად რუსეთის მხრიდანაც, აღიარებული არ ყოფილა. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ცხინვალის რეგიონი, საქართველოს ტერიტორიული ერთეულია და

[87] თ.ხიდაშელი, რედ. ანა ჭაბაშვილი, აგვისტოს ნანგრევებში, თბ.,2009 წ.
[88] თ.ხიდაშელი, რედ. ანა ჭაბაშვილი, აგვისტოს ნანგრევებში, სიცოცხლის მოსპობის ხელყოფა, თბ.,2009 წ.
[89] თ. ხიდაშელი, რედ. ანა ჭაბაშვილი, აგვისტოს ნანგრევებში, თბ.,2009 წ.

შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება შეფასებული, როგორც აგრესია.[90]

[90] თ.ხიდაშელი, რედ. ანა ჭაბაშვილი, აგვისტოს ნანგრევებში, თბ.,2009 წ.გვ.156

თავი VI. კვლევის შედეგები

ნაშრომში გადმოცემული ყოველი თავითა და ქვეთავის გაანალიზებით მივედი შედეგებამდე, რომელზეც ამ თავში ვისაუბრებთ. საქართველოს მისი არსებობის მანძილზე მუდამ უწევდა და უწევს ბრძოლა, ტერიტორიების შენარჩუნები მიზნით, სამწუხაროა ის ფაქტი რომ 21-ე საუკუნეში გვიწევს ომის დანაშაულებზე საუბარი და უფრო სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ომი საქართველოს ტერიტორიაზე სულ რამდენიმე წლის წინ იყო და სამართლიანი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ დღემდე გრძელდება თუმცა ცეცხლის გარეშე, მცოცავი ანექსიის გზით.

საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდში საქართველოში არსებული კონფლიქტები განხორციელდა აფხაზეთში და ცხინვალში(სამხრეთ ოსეთი). როგორც კონფლიქტის ზონაში, ასევე, მის გარეთ, ადგილი ჰქონდა ომის სამართლის ფუნდამენტური ნორმების დარღვევას, რაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ხელყოფაში გამოიხატა. ასევე, სიცოცხლის უფლების ხელყოფას, ეთნიკური წმენდას, მოსახლეობის ძარცვას, ქონების განადგურებას, ტყვეების წამებას, მასიური დაბომბვების შედეგად, ადამიანების სიცოცხლის განზრახ მოსპობას. ამ უმძიმესი დანაშაულების მიუხედავად დღემდე არავის უგია პასუხი აღნიშნულზე. საქართველოს საერთო სასამართლოებში ჩვენს მიერ გამოთხოვილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407 და 408 მუხლებით განხორციელებულ დანაშაულზე მიღებული განაჩენები, თუმცა პასუხად მივიღეთ, რომ მსგავს მუხლებზე გადაწყვეტილება არ არსებობს. 2007 წლის 26 მარტს საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოთაშორისი განაცხადი შეიტანა, რომლითაც 2006 წელს რუსეთში საქართველოს მოქალაქეებისა და ქართველი ეროვნების მქონე პირების უფლებების უხეში დარღვევების აღიარება და დეპორტაციის პროცესში მათთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. 7 - წლიანი განხილვა 2014 წელს საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეების დაპატიმრება, დაკავება და კოლექტიური გაძევება რუსეთიდან ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევით მოხდა. ამისთვის ჩრდილოელ მეზობელს- რუსეტს ქართველებისთვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.[91]

[91] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, საქმე N1, სარჩელის ნომერი - 13255/07 .

რაც შეეხება საქართველოს მეორე სარჩელს რუსეთის წინააღმდეგ, იუსტიციის მინისტრის ყოფილმა მოადგილე თინა ბურჯალიანმა 2008 წლის 12 სექტემბერს შეიტანა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის დარღვევის თაობაზე. ჰააგის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმე ტექნიკური მიზეზების გამო დაუშვებლად ცნო. საქართველო რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლებების დახმარებით ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციში ადანაშაულებდა.[92] სარჩელი 1990-2008 წლების შემთხვევებს აერთიანებდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იგივე ბრალდებით რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო.

როგორც ჰააგის სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოში ვითარების წინასწარი შესწავლა 2008 წლის აგვისტოში დაიწყო. შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, პროკურორმა ფატუ ბენსუდამ დაასკვნა, რომ "არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი" იმისა, რომ 2008 წლის ომის დროს საქართველოში ომის დანაშაულია ჩადენილი.[93]

საქართველოში არსებული კონფლიქტების დროს განხორციელდა თუ არა გენოციდი და ეთნიკურ წმენდა ეს დღემდე სადაო საკითხია, აღნიშნული რომ ოფიციალურად დავადასტუროთ ამისთვის აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არ არსებობს არც ეროვნული სასამართლოს ფარგლებში და არც საერთაშორისო სასამართლოების მიერ. მასზე საუბარის ლეგიტუმურ საფუძველს გვაძლევს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი კონკრეტული ფაქტები, რითაც ნამდვილად არსებობს გენოციდის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, კერძოდ ქართველების როგორც ეროვნული და ეთნიკური ჯგუფის მოსპობა იყო მიზანი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ომის დროს, კერძოდ ხდებოდა ქართველების მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, მათი ქონების განადგურება. ამ ყველაფერთან ერთად ასევე სახეზე იყო ეთნიკური წმენდა, კერძოდ ქართველები მძიმე პირობების არსებობით იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საკუთარი სახლები და თავიანთ ქვეყანაში ისინი გახდნენ ტოლვილები. ასევე აგვისტოს ომის დროს სახლ-კარის გადაწვა და საკუთრების განადგურება მხოლოდ ერთი ფრაგმენტია იმ ტრაგედიისა, რომელიც ქართულმა მოსახლეობამ გამოცადა, მიუხედავად მისი სიმძიმისა.

---

[92] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, საქმე N2, სარჩელის ნომერი - 2764/04

[93] თ.ოსმანოვა, რეზონანსი, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ - 1 მოგება, 1 წაგება და 1 ახალი საქმე, 12.10.2015წ.

შეირაღებული ადამიანები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რომ ადგილობრივები იძულებული გაეხადათ, დაეტოვებინათ მშობლიური სოფლები და უკან მისაბრუნებელი აღარ ჰქონოდათ.[94]

ქართველების მიზანმიმართული ხოცვა და ეთნიკური წმენდა აღიარებულ იქნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ 1994, 1996 და 1997 წლის კონვენციებზე, ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტებზე, სადაც დაიგმო ომის დანაშაულებანი ჩადენილი კონფლიქტის პროცესში. თუმცა ამისგან განსხვავებული მოსაზრებაა გაეროში: გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ სურს აღიაროს ქართველთა გენოციდი აფხაზეთში და ეთნიკური წმენდის ფაქტი, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ორგანიზაციის წესდების მეშვიდე თავის შესაბამისად, იგი უკვე ვალდებული იქნება მხარი დაუჭიროს ძალის გამოყენებას. ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები აქტიურად ამოქმედდებიან იმ გეოპოლიტიკურ ზონაში, რომელიც კვლავ რუსეთის გეოპოლილტიკურ ზონად მიაჩნიათ.[95]

თუმცა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში გაერო და მისი უშიშროების საბჭო ჩართულია 1992 წლიდან (საქართველოს ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე), 1993 წელს საქარტველოში გაეროს დამკვირვებელმა მისიამ (UNOMIG) შეიმუშავა სამშვიდობო მოლაპარაკებათა მრავალმხრივი მექანიზმები, რომელიც ცნობილია "ჟენევის პროცესის"სახელით. ჟენევის პროცესი მიმდინარეობდა გაეროს ეგიდით, ხოლო რუსეთი კი გვევლინება, როგორც ხელშემწყობი მხარე. 1998 წლიდან ჟენევის პროცესს ოფიციალურად მიუერთდა გაეროს გენერალურ მდივანთან არსებული საქართველოს მეგობართა ჯგუფი(აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი), რომელიც ეუთოს მსგავსად სარგებლობს დამკვირვებლის სტატუსით. ჟენევის პროცესის დღის წესრიგი მოიცავდა საკითხთა ფართო სპექტრს უსაფრთხოების საკითხების ჩათვლით.[96]

საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 30 წლის განმავლობაში განხორცილებული კონფლიქტების შედეგად საქართველოს ტერიტორიას და მის მოსახლეობას მიადგა არაერთი მატერიალური, მორალური, ეკოლოგიური თუ სამართლებრივი ზიანი. განვიხილოთ თითოეული მათგანი, რათა მკითხველისთვის ნათელი გახდეს თუ რა მძიმე შედეგი გამოიწვია განხორციელებულმა კონფლიქტებმა.

---

[94] თ. ხიდაშელი, რედ. ანა ჭაბაშვილი, აგვისტოს ნანგრევებში, თბ.,2009 წ. გვ.205

[95] რეტრომედია,გაერო აფხაზეთში ქართველთა გენოციდს არ ცნობს, 30.09.2015 წ,

[96] დ.პაპინაშვილი, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბ., 2008 წ. გვ.132

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის 20%-ი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ადმინისტრაციული „საზღვარი“ დროდადრო იცვლება. ე.წ. სამხრეთ ოსეთთან გაკეთებული ბანერი წარწერით Республика Южная Осетия საქართველოს ცენტრალური მაგისტრალის მიმართულებით ინაცვლებს და სულ უფრო მეტი ტერიტორია რჩება მავთულხლართების მიღმა. თავდაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით, სოფლების დიდი და პატარა ხურვალეთის დასახლებული ნაწილი, ე.წ. „საზღვარის“ იქით აღმოჩნდა. გარდა ამისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ IDFI-სთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს მავთულხლართების გავლების შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა სოფელ გუგუტიანთკარის დასახლებული ნაწილი. მედიის ცნობით, ასევე გაიყო სოფელი ზარდიანთკარი, ღოღეთი. მიტაცებულ ტერიტორიებს შორის აღმოჩნდა სოფლების დვანის, დიცის, ციცაგიანთკარის, ჯარიაშენის, აძვის და ქვეშის ნაწილები. ჯარიაშენი კი მიმდინარე, 2015 წელს, თითქმის მთლიანად მათვთულხლართებით შემოიღობა და საზღვრის იქით აღმოჩნდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, რუსი ოკუპანტები საბჭოთა ადმინისტრაციულ საზღვრებს მიჰყვებიან და მავთულხლართებს სწორედ იქ ავლებენ, სადაც ადრე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი გადიოდა. რუსული გეგმის მიხედვით, ე.წ. საზღვარი სოფელ ყარიფალაზე გადაიკვეთა და საოკუპაციო ხაზს მიღმა ბაქო-სუფსის მილსადენის ნაწილი მოექცა. რიგი სოფლების სახნავ-სათესი ნაკვეთები საზღვრის იქით, დასახლებული ტერიტორიები კი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა, თუმცა არსებობს საფრთხე, რომ ეწ „მცოცავი ოკუპაციის“ პირობებში ამ სოფლების დასახლებული ნაწილიც მავთულხლართების იქით აღმოჩნდეს.[97]

ოფიციალურ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში 655 სახლი სრულად დაინგრა და დაზიანდა – 2 139.707 საქართველოს მთავრობის გავრცელებული ცნობით, საქართველოს მატერიალურიზარალი შეადგენდა 1 მილიარდ აშშ დოლარს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში შეგვიძლია ვნახოთ, რა ადამიანური და მატერიალური ზარალი მიადგა საქართველოს 2008 წლის 5 დღიანი ომის შედეგად. ხუთდღიანმა ომმა 408 ადამიანი იმსხვერპლა: 170 სამხედრო მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 მშვიდობიანი მოქალაქე. საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2008

[97] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ, 26.10.2015 წ.

წელს რუსეთსაქართველო კონფლიქტის ზონებში განხორციელებული აგრესიის შედეგად დაჭრილ/დაშავებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 2 232-ს. მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეადგენს 1045-ს. დაჭრილ/დაშავბულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა რაოდენობა- 2 232, აქედან 1045 სამხედრო მოსამსახურე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისათვის გაწეულმა ფინანსურმა დახმარებამ 2008-2015 წლებში სულ შეადგინა 3 914 537 ლარი, ხოლო დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების - 988 567 ლარი. ამას-თან, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 9 დეკემბრის N882 განკარგულების საფუძველზე აგვისტოს ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს თბილისში, აბაშვილის ქუჩაზე გადაეცათ ბინები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ომში დაღუპული და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისათვის 2010-2014 წლებში დამატებით სხვადასხვა საჩუქრბის და ღონისძიებებისათვის გაწეულია 303 868 ლარის ოდენობის ხარჯი.[98]

აფხაზეთში ომის შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა რეგიონის მოსახლეობისთვის, მთლიანად სახელმწიფოსთვის. ორივე მხრიდან ათეულ ათასობით დაღუპულის გარდა, ავტონომიური რესპუბლიკა დატოვა მისი კანონიერი მოსახლეობის სამმა მეოთხედმა. დევნილებად იქცა თითქმის 300 ათასი ქართველი, 40 ათასამდე აფხაზი, ათასობით ბერძენი, ესტონელი, უკრაინელი, ებრაელი, რუსების ნაწილი და ა.შ. ომამდელი 535 ათასი მოსახლიდან 1997 წლისთვის აფხაზეთში 145 986 ადამიანი დარჩა. ამრიგად, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 388 075 კაცით – 72,7 პროცენტით, ანუ 3,7 ჯერ შემცირდა. სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე მეტად ქართული მოსახლეობა დაზარალდა. 1992წ. 1 იანვრისთვის მისი რაოდენობა 244 872 კაცს შეადგენდა, ეთნოწმენდის შემდეგ, 1997 წლისთვის – 43 442 კაცს. ამრიგად, ეთნიკური ქართველების რაოდენობა სულ ცოტა 201 430 კაცით – 82,2% ანუ 5,64 – ჯერ შემცირდა.[99]

საომარი მოქმედებების გამო აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ განიცადა უზარმაზარი ნგრევა და ეკონომიკის კოლაფსი. მთლიანად განადგურდა რკინიგზა. განადგურდა 450 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა, 32 ხიდი, 500 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ინფორმაციით კონფლიქტის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განადგურდა 49.000-მდე შენობა, აქედან 43.000 კერძო საცხოვრებელი სახლი. 30 ერთეული

[98]ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, 07.08.2015წ.

[99] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ 1992 წლიდან აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა სია, 2010 წელი.

კულტურისა და 25 ერთეული ადმინსიტრაციული ობიექტი. ქალაქ სოხუმში განადგურდა 10.000-მდე შენობა, გაგრის მუნიციპალიტეტში 9.000 შენობა, სოხუმის მუნიციპალიტეტში 2.500 შენობა, გუდაუთის მუნიციპალიტეტში 400 შენობა, გულრიფშის მუნიციპალიტეტში 4.000 შენობა, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში 8.000 შენობა, გალის მუნიციპალიტეტში 15.000 შენობა.[100]

2008 წლის აგვისტოს ომმა ქვეყანა ეკოციდის წინაშე დააყენა, რის გამოც მიყენებული ზარალი არის ორმაგი. საქართველომ, ერთი მხრივ, მიიღო დამწვარი ტყე, განადგურებული ფლორა და ფაუნა, შეცვლილი კლიმატი, ხოლო, მეორე მხრივ, ფოთში ქართული კატარღების აფეთქების შედეგად ზღვაში 50 ტონამდე ჩაღვრილმა ნავთობპროდუქტმა თევზები და წყალში მცხოვრები ძუძუმწოვრები გაანადგურა. ბორჯომის ხეობაში, ხაიშში, ატენის ხეობასა და გორის მიმდებარე ტერიტორიაზე მთლიანად 1100 ჰექტარი ტყის მასივი განადგურდა. გორის რაიონის სოფელ სკრაში რუსულ ნაღმებზე რკინიგზის შემადგენლობა აფეთქდა და ნიადაგში 720 ტონა ნედლი ნავთობი ჩაიღვარა. ჩამოთვლილი ფაქტების გამო ეროვნულ სატყეო სააგენტოში მიაჩნიათ, რომ 2008 წლის ხანძარმა არა მხოლოდ უდიდესი გარემოსდაცვითი ზიანი მიაყენა, არამედ ეკონომიკურადაც მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყანა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი განმარტავს, რომ ტყის ხანძრების შედეგად დაზარალებული გარემოს აღსადგენად ათეული წლებია საჭირო. ტყის ხანძრების გარდა, სხვადასხვა დარგის მეცნიერებისა და უცხოელი ექსპერტების დასკვნებით, საომარი მოქმედებების დროს საქართველოს ბუნებას მილიარდ ლარზე მეტი ზიანი მიადგა.[101]

ყველაფერთან ერთად მთავრი ზიანი, რომელის ანაზღაურებაც შეუძლებელია, არის თითოეული ტოლვილი, რომლებსაც მოუწიათ თავიანთ სახლ-კარის, სახნავ-სათესების, ნათესავების, ოჯახის წევრების, მეზობლების და საერთო ჯამში მისთვის კომფორტული და მისი არჩეული გარემოს დატოვება და ტოლვილის სტატუსით მისივე ქვეყნის სხვა ნაწილში გადასვლა სადაც ყველაფრის დაწყება მოუწი თავიდა, რაც არაფერია იმასთან შედარებით ვინც ამ ყველაფერთან ერთად დაკარგა ოჯახის წევრი, ახლობლები, მეგობრები. ზოგიერთი მათგანი შეესწრო კიდეც ახლობლის თუ ოჯახის წევრის მკვლელობას, წამებას, ამასთან ბევრი მათგანი ხედავდა თუ როგორ ნადგურდებოდა მისი შრომით შექმნილი მატერიალური სიკეთეები. ყოველივე ეს რა დროც არ უნდა გავიდეს, რა ანაზღაურებაც არ უნდა მიიღოს სანაცვლოდ მაინც შეუძლებელია ამ ტვირთისგან განთავისუფლებ

[100] დ.ლაცუზბაია, ვ, ყოლბაია, რ.გელანტია, თ. ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ. გვ 124.

[101] მ. იველაშვილი, რადიო თავისუფელბა, ოკუპირებული ბიომრავალფეროვნება, 17.08.2018 წ.

დასკვნა

თანამედროვე სამყაროში კონფლიქტები ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. თუკი მსოფლიოში არსებული კონფლიქტების მაგალითზე ვიმსჯელებთ, კარგად ჩანს, რომ ეს საკითხი პრობლემურია ყველა ტიპის მმართველობაში და ყველგან ახდენს გავლენას სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე. თუმცა, კონფლიქტები განსაკუთრებით მწვავედ გადასატანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან აქ ისედაც მყიფე ინსტიტუტებს არაერთი მიმართულებით უქმნის საფრთხეს. პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა რუსეთის, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის მიერ ამ სივრცეზე კონტროლის შენარჩუნების სურვილი, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდა რიგი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მისწრაფებებთან, მათ შორის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კონფლიქტები საქართველოში, რაც განსაკუთრებულად მგრძნობიარეა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე მოუწია არაერთი დაპირისპირება და კონფლიქტი საკუთარ ტერიტორიაზე, საკუთარი მიწის და ხალხის დასაცავად. მიუხედავად ამისა საქართველოს ტერიტორის 20% ოკუპირებულია, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი ხალხის უფლებები ყოველ დღიურად ირღვეოდა და ირღვევა. ნაშრომში ჩვენს ვისაუბრეთ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და 2008 წლის აგვისტოს ომზე. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, 1990-1992 წლებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ კონფლიქტს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, მასში რუსეთის ჩარევის შემდეგ, საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის ინიციატორიც საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი იყო, მიღწეულ იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს, თუმცა კრიმინალური ქმედებები ამის შემდგომაც გრძელდებოდა. დღემდე გეძელდება რუსული ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიის უკანონო ოკუპაცია, ადგილი აქვს „მცოცავ“ ანექსიას, რის გამოც, ათასობით ჰექტარი ქართული მიწა დაიკარგა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც. ყოველივე ეს, უკუდურეს მდგომარეობაში აყენებს კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას.

მანამ სანამ კონფლიქტების მოგვარების რამდენიმე რეკომენდაციაზე ვისაუბრებ,უმჯობესია საქართველოში კონფლიქტები დავყოთ ორ ნაწილად: არსებული კონფლიქტად და ახალი კონფლიქტების საფრთხედ. არსებული კონფლიქტები - მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) კონფლიქტი რეალურად სხვა სტატუსში აღმოჩნდა, რაც ცხადია, ვითარებას ცვლის და კონფლიქტს უფრო ამწვავებს. მით უმეტეს, რომ რუსეთი პერიოდულად ცდილობს პრობლემების შექმნას ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევით, ადამიანების გატაცებით თუ სხვა მცდელობებით. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ განისაზღვროს ის საფრთხეები, რაც ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით არსებობს, რადგან სახელმწიფოს რეაგირება პოსტფაქტუმ არ დასჭირდეს.

რაც შეეხება ახალი კონფლიქტების საფრთხეს ეს უფრო მძაფრია ვიდრე მიმდინარე კონფლიქტი. პირველი იმიტომ, რომ არსებულმა კონფლიქტებმა, ფაქტობრივად, ამოწურა რუსეთისთვის სარგებლის მოტანის შესაძლობლობა და ამით რუსეთი იმაზე მეტ სარგებელს ვეღარ ნახავს, რაც აქამდე შეეძლო. რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების აღიარება აღარ არის საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტი იმ დოზით, როგორც ამას აღიარებამდე იყენებდა. ყველაზე მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც რუსეთს შეეძლო, იყო ამ ტერიტორიების აღიარება. დღეს აქ რუსეთის ფიზიკური თუ პოლიტიკური ყოფნა იმდენად მაქსიმალურია, ამ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენას სავაჭროდ ვეღარ გამოიყენებს. მეორე მხრივ კი, რუსეთისთვის კავკასიაში გავლენების შენარჩუნება აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა და ამიტომაც მისთვის შედარებით მარტივი ახალი კონფლიქტის გაღვივება და ამის ბერკეტად გამოყენებაა. ამ მხრივ კი საკმაოდ რთული ვითარებაა, რადგან ბოლო პერიოდში გამოჩნდა, რომ არსებობს არაერთი თემა, რომლის გამოყენებაც რუსეთს საკუთარი მიზნებისთვის შეუძლია, მით უმეტეს, როდესაც თანამედროვე ინფორმატიულ სამყაროში მცდარი ინფორმაციის გავრცელება ძალიან მარტივია.

საბოლოოდ ვისაუბრებ იმ რეკომენდაციებზე რაც აუცილებელია საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარეისათვის:

მედიის და არასამთავრობო სექტორის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ინფორმაციის სწორად მიწოდებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. იმ დროს კი, როდესაც მედია, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ძირითადად ორიენტირებულია რეიტინგულ და მყვირალა თემებზე, ეს საკითხი შესაძლოა, მინიმუმ, ყურადღების მიღმა დარჩეს. არასამთავრობო სექტორის და მედიის ერთობლივი მუშაობა აუცილებელია იმისთვის, რომ საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს სწორ ინფორმაციაზე და არ რჩებოდეს ინტერპრეტირების საშუალება. ინფორმაცია რეალურად მოქმედებს რიგით ადამიანებზე და არ არის გამორიცხული, ადამიანებს შორის კონფლიქტი გააჩინოს იმის გამო, რომ მათ მიეწოდებათ ისე, თითქოს ეს მათი ქვეყნისთვის და ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველია და მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ყველა ტიპის კონფლიქტს აქვს თავისი მიზეზი და ფაქტია, რომ საქართველოში არსებულ კონფლიქტებს აქვს ეთნიკური საფუძველი. სხვა თემაა, ეს საკითხი რუსეთის მიერ როგორ იქნა და იქნება გამოყენებული, მაგრამ ცალსახაა, რომ ეს არის ეთნიკური კონფლიქტი და პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ წლების განმავლობაში არ ჩანდა ამ პრობლემის მოგვარების სურვილი. აქ იგულისხმება ის, რომ მხოლოდ ერთი მხარის სურვილი და ქმედებები საკმარისი არ არის. აქ ორივე მხარის ჩართულობაა აუცილებელი და ეს მაშინაც კი ვერ მოხერხდა, როდესაც რუსეთი ფორმალურად მაინც შუამავლის როლს თამაშობდა და ახლა, როდესაც კრემლის პოლიტიკა რადიკალურად არის შეცვლილი და უკვე ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა ფორმალურად მაინც აქვს აღიარებული, ყველაზე მთავარი საფრთხე არის სწორედ ის, რომ არ შემცირდეს ეთნიკური ასპექტის მნიშვნელობა, რაზეც სულ უფრო ნელდება საუბარი და ფაქტობრივად, ამაზე არც არავინ საუბრობს, რომ ორივე მხრიდან პრობლემის მოგვარების სურვილი გაჩნდეს.

საბოლოოდ საჭიროა გონივრული, რეალური და ურთიერთინტერესთა გაცვლაზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც, უბრალოდ, სამეზობლო პოლიტიკა ჰქვია. ერთადერთი გზა ნდობის აღდგენის, სიძნელეთა დაძლევის და თანამშრომლობის გზაზე გადის. ამასთან, საქართველოს რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი გზითდარეგულირების, ასევე, რუსული აგრესიის შემაჩერებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად, კვლავ, ევროკავშირი და დასავლეთის ქვეყნები რჩებიან, ხოლო

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ქვეყნის „ნატო“-ში და ევროსტრუქტურებში გაწევრიანება განიხილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია,1949 წ.;
2. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამათლოს რომის წესდება, 1998 წ.;
3. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ, 17.03.2020 წლის რედაქციით;
4. საქართველოს კონსტიტუცია, 1921 წ.;
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ, 04.06.2020 წლის რედაქციით;
6. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუციია, 1994 წ.;
7. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის დეკლარაცია, 1996 წ.;
8. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, 1990 წ.
9. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მერიდიანი თბილისი 2009 წ.;
10. "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ რეზოლუცია.;
11. სარედაქციო ჯგუფი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, რედ. მარინა ჩიტაშვილი , „ლოგოს პრესი“, თბ., 2004.;
12. დ. ლაცუზბაია, ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, თ.ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, "არხატი", თბ., 1999 წ.;
13. ჯ. გვასალია„საქართველო არის ესე“, ტ.8 გამომცემლობა „ციცინათელა“, 2003 წ.
14. ზ. ჭიჭინაძე: „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ“ (ისტორიული მიმოხილვა) ტფილისი 1916 წ.
15. მ.ლორთქიფანიძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტომი 1, თბ., 1997 წელი.;
16. ქართლის ცხოვრება, „მატიანე ქართლისაჲ”,ტომი 1, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ.,2012.;
17. ჯ.გამახარია, „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან“,თბ., 1991წ.

18. ბ. სურგულაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში, თბ.,2017 წ;

19. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, მთარგმნ. აკაკი გელოვანი, თბ., 1975.;

20. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია., მთარგმნ. თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1958.;

21. გ. ჭანტურია, ბ. ნადარაია, ნიურბერგის პროცესი და საერთაშორისო სამართალი, საქართველოს სამეფოს ისტორის,(20. 11. 2018), http://georoyal.ge/;

22. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ 1992 წლიდან აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა სია, 2010 წელი.

23. რ. გაჩეჩილაძე, ჩემი მეოცე საუკუნე, I ტომი 1901-1953, მეორე გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2011წ.

24. თ. დუნდუა „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, „მერიდიანი“. თბ.,, 2017 წ.

25. თინათინ ხიდაშელი, რედ. ანა ჭაბაშვილი, აგვისტოს ნანგრევებში, თბ.,2009 წ.

26. დ.პაპინაშვილი, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბ., 2008 წ.;

27. დ. წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი N 2, რედ. ი. ბურდული, 2013წ.;

28. თ.ოსმანოვა, რეზონანსი, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ - 1 მოგება, 1 წაგება და 1 ახალი საქმე, 12.10.2015წ.

29. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ, 26.10.2015 წ.

30. იულია ლატინაინა,ეჟედნევნი ჟურნალის სტატია-ანალიზი სამხრეთ ოსეთის მოვლენებზე და წინაპირობებზე, 11.08.2008 წ.

31. მ. იველაშვილი, რადიო თავისუფლება, ოკუპირებული ბიომრავალფეროვნება, 17.08.2018 წ.

32. მაიკლ მან, დემოკრატიის ბნელი მხარე ეთნიკური წმენდის ახსნა, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2005 წ.

33. ს.დავითიშვილი, კონფლიქტები საქართველოში, კონფლიქტი აფხაზეთის ავტონომიურ ოლქში, თბ.2010წ.

34. უ. შაბასი, გენოციდი საერთაშორისო სამართალში, დანაშაულის დანაშაული. კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2000 წ.

35. ჯეიმს ტ. ფუსელი, გენოციდის საერთაშორისო პრევენცია, 2014 წ.

36. კეტრინ დეილი, ეთნიკური წმენდის დინამიკა და გამოწვევები: საქართველო-აფხაზეთის საქმე, "Refworld", 1997 წ.

37. ფონდი „ღია საზოგადება საქართველო", "ქართულ–ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ," ფონდის "ღია საზოგადოება საქართველო სერია N1, 2005 წ.

38. საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, აფხაზეთის მოკლე ისტორია, www.parliament.ge.;

39. საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია,www.parliament.ge.

40. საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია,www.parliament.ge.

41. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატი,ინფორმაციული ცნობა"ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ, www.parliament.ge.

42. სმიტი რონა კ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, რედ. გიორგი ჯოხაძე თარგმნ. მანანა კობიაშვილი, „სეზანი" 2009 წ,

43. The Dark side of Democracy Explaining Ethnic Cleansing,MICHAEL MANN University of California Los angeles, Cambridge university press, 2005 y.;

44. Philippe Sands, "East West Street" New york 2016 y;

45. Dzhindzhikhashvili Misha, "Russia seizes Georgia base, opens second front", The Associated Press, 2008-08-11.

46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, საქმე N1, სარჩელის ნომერი - 13255/07;

47. დამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, საქმე N2, სარჩელის ნომერი - 2764/04;

48. https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-1&chapter=4